



**საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია
2018-2021**

სარჩევი

შესავალი	2
ბიუჯეტირება	5
- საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა	8
- ფისკალური დისციპლინის გაძლიერება	8
- საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის ჩამოყალიბება	8
- შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის ეფექტიანობის გაძლიერება	8
- ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის დანერგვა	10
აღრიცხვა და ანგარიშგება	10
- აღრიცხვა-ანგარიშების რეფორმა საჯარო სექტორში	10
- ხაზინის ელექტრონული სისტემის (eTreasury) განვითარება	12
- ფულადი სახსრების მართვის რეფორმა	14
საგადასახადო და საბაჟო საკითხი	15
- საერთაშორისო საგადასახადო ხელშეკრულებების არეალის გაფართოება	18
- დასაბეგრი ზაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) პროექტი	19
- საგადასახადო სფეროში გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმი	19
- საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფა	19
- შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული რეფორმები საგადასახადო და საბაჟო სფეროში	20
მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა	21
- მაკროეკონომიკური ანალიზი და პროგნოზირება	21
- სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის გაუმჯობესება	23
- ფისკალური რისკები	23
სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი	25
- სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება	25
- შიდა აუდიტი	26
- ფინანსური მართვა და კონტროლის სისტემა	26
- სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის შემდგომი განვითარება	27
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	27
- პორტალის შექმნა და მართვა, რომელზეც განთავსდება ერთგვაროვანი სტანდარტებით მომზადებული ფინანსური, ასევე არაფინანსური ანგარიშგებები, საწარმოებსა და ინვესტორებს/კრედიტორებს შორის გამარტივებული ურთიერთობისა და სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობის მიზნით	27
- ფინანსური ანგარიშგების სისტემის მეშვეობით საგადასახადო რისკის მართვის პროცესის ოპტიმიზაცია	28
- ეკონომიკური ოპერატორის ავტორიზაციის პროცესის ხელშეწყობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტორების, ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გზით	29

შესავალი

საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საჯარო ფინანსების მართვის სფეროში არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მათი მიახლოების მიმართულებით. კერძოდ:

- მნიშვნელოვანი პროგრესია საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის თვალსაზრისით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- დამკვიდრდა ფისკალური დისციპლინა და ფისკალური წესები;
- დაიხვეწა პროგრამული ბიუჯეტირების მომზადების პროცესი და მისი ხარისხი;
- ბიუჯეტირების, ხაზინის და სხვა დაკავშირებული სფეროებისათვის ჩამოყალიბებულია და სრულყოფილად ფუნქციონირებს ელექტრონული სისტემები (ePFMS);
- განხორციელებულია საგადასახადო პოლიტიკის ძირეული რეფორმა;
- შექმნილია მაკროეკონომიკური და ფისკალური ანალიზის კარგი შესაძლებლობები;
- განვითარდა საწარმოების აგრეგირებული ფისკალური რისკის შეფასების შესაძლებლობები და გაუმჯობესდა საჯარო სექტორის ფინანსური ზედამხედველობა. 2007 წლიდან შთამბეჭდავი პროგრესი იქნა მიღწეული და მრავალი ინოვაციული კომპონენტი შეიქმნა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში;
- მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა სახაზინო სამსახურში; ხაზინის ერთიანი ანგარიში გაფართოვდა და იგი მოიცავს ადგილობრივ მთავრობებსაც;
- ფუნქციონირებს საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემა (PFMIS);
- გასული 10 წლის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური გარდაიქმნა ტრადიციული მაკონტროლებელი-ინსპექტირების ფუნქციის განმახორციელებელი ორგანიზაციიდან ახალ, თანამედროვე ინსტიტუტად, რომელიც ფინანსურ და შესაბამისობის აუდიტებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ატარებს;
- შეიქმნა შიდა და გარე აუდიტის სამართლებრივი და მეთოდოლოგიური საფუძველი და ინერგება მთელი მთავრობის მასშტაბით;
- ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით უზრუნველყოფილია საჯარო ფინანსების მართვის რეფორმებსა და ინიციატივებთან დაკავშირებით საჭიროებებზე დაფუძნებული ტრენინგების ჩატარება;

ყოველივე ზემოაღნიშნულს ადასტურებს **სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA - Public Expenditure and Financial Accountability)** თვითშეფასების შედეგები, რომელიც განხორციელდა 2017 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საჯარო ფინანსების მართვის სფეროში ჩართული უწყებების მონაწილეობით. ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა 2017 წლის PEFA-ს თვითშეფასების ანგარიშის ვალიდაცია და 2018 წლის ივნისში შეფასების დოკუმენტი გასაჯაროვდა. საქართველოს შეფასება 24 ქვეყნის საშუალო შეფასებასთან შედარებით (რომლებიც 2016 წლის PEFA-ს მეთოდოლოგიით არის შეფასებული) უფრო მაღალია 31 ინდიკატორიდან 29 ინდიკატორის შემთხვევაში. ამასთან, 2012 წლის შეფასებასთან შედარებით, 28 ინდიკატორიდან 27 ინდიკატორის შეფასების შედეგი გაუმჯობესებულია/შენარჩუნებულია, რაც ადასტურებს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის წარმატებით განხორციელებას საქართველოში.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში ბოლო ათწლეულის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების შედეგებს ასევე ადასტურებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში მომზადებული საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის

შეფასების ანგარიში¹. ანგარიშში ფისკალური გამჭვირვალობის კოდექსის საფუძველზე სამი ძირითადი მიმართულებით - ანგარიშგება, ფისკალური პროგნოზირება და ბიუჯეტირება და ფისკალური რისკების ანალიზი და მართვა - შეფასდა 36 ინდიკატორი, საიდანაც 18 ინდიკატორი შეფასდა როგორც საუკეთესო ან კარგი, მათ შორის საშუალოვადიანი დაგეგმვა, საბიუჯეტო კანონმდებლობა, კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადების სიხშირე, საბიუჯეტო კლასიფიკაცია, პროგრამული ბიუჯეტირება, მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკები, მაკროეკონომიკური პროგნოზები და სხვა.

მიღწეული პროგრესი ნათლად ჩანს საერთაშორისო გამოკვლევების შედეგებში. გატარებული რეფორმების შედეგად, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2017“ (Open Budget Survey 2017) შედეგებით, საქართველოს 82 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის აღნიშნული პოზიციით, საქართველო მოექცა სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში. საქართველო რეგიონიდან ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ამ კატეგორიაში გადავიდა და რომლის სტანდარტსაც ბოლო კვლევით მხოლოდ 5 ქვეყანა აკმაყოფილებს მსოფლიოში. შესაბამისად, საქართველო იკავებს ადგილს საჯარო ფინანსების მართვის სფეროში განსაკუთრებული წარმატების მქონე ისეთ ქვეყნებთან ერთად როგორიცაა: ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, შვედეთი და ნორვეგია.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სისტემის სტაბილური და ეფექტური ფუნქციონირების თვალსაზრისით კიდევ არის გადასადგმელი ნაბიჯები.

ზემოაღნიშნული ანალიზებისა და შეფასებების ფარგლებში პროგრესთან ერთად გამოიკვეთა გარკვეული მიმართულებები, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ გაუმჯობესებას. მაღალი, საშუალო მნიშვნელობის მქონე კატეგორიების ძირითადი მიმართულებების მიხედვით მომზადდა 2018-2021 წლების სტრატეგია.

	დასახელება	კატეგორია	შინაარსი	ვადა
1.	ინსტიტუციური დაფარვა	მაღალი მნიშვნელობის	საჯარო სამართლის იურიდიული პირების ოპერაციების კონსოლიდირებული ინფორმაციის ასახვა ანგარიშგებაში	საშუალოვადიანი პერიოდი ²
2.	საშუალოვადიანი დაგეგმვის ჩარჩო	მაღალი მნიშვნელობის	საშუალოვადიანი პროგნოზების სიზუსტის, სანდოობის და წლიურ გეგმებთან კავშირების გაძლიერება. პროგნოზების განახლებისა და ფაქტობრივ მაჩვენებლებთან შედარებითი ანალიზის დახვეწა.	საშუალოვადიანი პერიოდი
3.	ფისკალური დისციპლინა	მაღალი მნიშვნელობის	ფისკალური წესების გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების	საშუალოვადიანი პერიოდი

¹ <https://www.imf.org/~media/Files/Publications/CR/2017/cr17291.ashx>

² საშუალოვადიანი პერიოდი - 4-5 წლიანი პერიოდი, რომელსაც ფარავს აღნიშნული სტრატეგია და ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2019-2022 წლებისათვის

	დასახელება	კატეგორია	შინაარსი	ვადა
			განხორციელება, რათა ფისკალურმა წესებმა უზრუნველყოს ფისკალური პოლიტიკისთვის მდგრადი ჩარჩოს შექმნა	
4.	პირობითი ვალდებულებების ანგარიშგება და კონტროლი	მაღალი მნიშვნელობის	საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) და ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე (PPA) ვალდებულებების ანალიზი და ასახვა ფისკალური რისკების დოკუმენტში	გრძელვადიანი პერიოდი ³
5.	სახელმწიფო საწარმოების მართვა	მაღალი მნიშვნელობის	სახელმწიფო საწარმოების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, მათ შორის საწარმოების კლასიფიცირება, პირობითი ვალდებულებებისა და მათი ოპერაციებიდან გამომდინარე სხვა შესაძლო ფისკალური რისკების მონიტორინგი/პრევენცია	გრძელვადიანი პერიოდი
6.	აქტივების მთლიანი მოცულობების მართვა/იდენტიფიცირება	საშუალო მნიშვნელობის	არაფინანსური და ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციის მოგროვების და ამ აქტივების მართვის ერთიანი გეგმის შემუშავება და განხორციელება	გრძელვადიანი პერიოდი
7.	საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი აღრიცხვა და წლიური ფინანსური ანგარიშგებები	საშუალო მნიშვნელობის	ნაერთი ბიუჯეტის ფინანსური ანგარიშგების მომზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დანერგილია აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა	გრძელვადიანი პერიოდი
8.	საინვესტიციო პროექტების მართვა	საშუალო მნიშვნელობის	საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი და გამართული ციკლის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოს პროექტების პრიორიტიზირებას ობიექტური კრიტერიუმების	გრძელვადიანი პერიოდი

³ იგულისხმება პერიოდი, რომელიც ფარავს 5 წელზე მეტ პერიოდს.

	დასახელება	კატეგორია	შინაარსი	ვადა
			საფუძველზე	
9.	შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვა და შიდა ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის სრულყოფილი დანერგვა	საშუალო მნიშვნელობის	მხარჯავ დაწესებულებებში დაინერგება შიდა ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების ეფექტიან მართვას და შედეგზე ორიენტირებული მიდგომების დახვეწას	გრძელვადიანი პერიოდი
10.	ადგილობრივი თვითმმართველობები	საშუალო მნიშვნელობის	მუნიციპალიტეტების საჯარო ფინანსების მართვის ოპერაციების დაგეგმვა, აღრიცხვა და საჯაროობა საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაბამისად	საშუალოვადიანი პერიოდი

ქვემოთ მოცემული მიზნები და პრიორიტეტები განსაზღვრავენ ძირითად ჩარჩოებს არსებული რისკების დაძლევისთვის საჭირო რეფორმების გასატარებლად. წინამდებარე სტრატეგიის განხორციელების საფუძველი გახდება ყოველწლიური სამოქმედო გეგმები, რომლებიც დეტალურად აღწერენ რეფორმების გასატარებლად საჭირო ღონისძიებებს.

საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საჯარო ფინანსების მართვით უზრუნველყოფილი იქნეს:

- მდგრადი ფისკალური პოლიტიკა;
- საგადასახადო სისტემის ეფექტური, მოქნილი და სამართლიანი ადმინისტრირება;
- გამჭვირვალე, მონაწილეობით და შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვა;
- სწორი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აღრიცხვა
- ეფექტური და მოქნილი ციფრულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა

ბიუჯეტირება

გასული წლების მანძილზე გატარდა რეფორმები საჯარო ფინანსების მართვის სრულყოფის, მათ შორის საბიუჯეტო სისტემის დახვეწის მიმართულებით. 2005 წლიდან დაიწყო ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის ჩარჩოს ჩამოყალიბება, რომლის მიზანი იყო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების წარმოდგენა არა ერთწლიან, არამედ მრავალწლიან პერსპექტივაში, რაც ასევე დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან.

2009 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, რომელშიც თავი მოიყარა საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების მარეგულირებელმა დებულებებმა. მოწესრიგდა საბიუჯეტო სისტემის საკანონმდებლო ჩარჩო, დეტალურად გაიწერა საბიუჯეტო პროცესი და საბიუჯეტო კალენდარი. განისაზღვრა საშუალოვადიანი დაგეგმვისა და წლიური ბიუჯეტის როლი საბიუჯეტო პროცესში.

2012 წლიდან დაიწყო საბიუჯეტო პროცესში პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვა. 2012 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, ხოლო 2013 წლიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტები მზადდება პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით. მომზადდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია. 2015 წელს განახლდა აღნიშნული მეთოდოლოგია, უფრო დეტალურად გაიწერა ახალი რეგულაციები, რომლებიც რეკომენდაციას უწევენ უშუალოდ მხარჯავ დაწესებულებებს შეიმუშაონ პროგრამები და ქვეპროგრამები, მოამზადონ შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები, განსაზღვრონ მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები მათი საშუალოვადიანი გეგმებიდან, სექტორული სტრატეგიებიდან და ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე. პროგრამული ბიუჯეტი ითვალისწინებს უფრო ფართო მაჩვენებლების სისტემას: თითოეული პროგრამისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებელი, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები. აღნიშნული მიზნად ისახავს, რომ სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებით თუ სხვადასხვა სექტორულ სტრატეგიებით განსაზღვრული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები და მათი ბიუჯეტები ასახული იქნეს შესაბამისი წლის წლიური ბიუჯეტის კანონში და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD). 2016 წლის ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის ნაწილი მომზადდა განახლებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა უზრუნველყო პოლიტიკის მიმართულებებსა და საშუალოვადიან დაგეგმვასა და წლიურ ბიუჯეტს შორის კავშირის გაძლიერება.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. შემუშავდა შესრულების ანგარიშგების განახლებული ფორმები, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს სახელმწიფო ბიუჯეტის გათვალისწინებული პროგრამები/ქვეპროგრამები დაგეგმილ შედეგებთან და ინდიკატორებთან მიმართებაში, ისევე როგორც იძლევა ინფორმაციას დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ გადახრის გამომწვევ მიზეზებზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადების, აღსრულებისა და შესრულების ანგარიშგების წარმოებისათვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა (eBudget), რომლის ჰარმონიზება მოხდა ხაზინის ელექტრონულ სისტემასთან (eTreasury), რაც საშუალებას აძლევს მხარჯავ დაწესებულებებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტსა და სახაზინო სამსახურს რეალურ დროში აკონტროლონ და მართონ სახელმწიფო სახსრები.

სახელმწიფო ფინანსების კონსოლიდირებული მართვის მიზნით განხორციელდა საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების დაგეგმვის, აღსრულების და შესრულების ანგარიშგების გაერთიანება სახელმწიფო ფინანსების მართვის ელექტრონულ სისტემაში, ხაზინის ანგარიშთა სისტემის მიშვეობით და მათი ჩართვა წლიური ბიუჯეტის საბიუჯეტო პროცესში.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში განხორციელდა ყველა დონის ბიუჯეტის და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის სრულყოფილად მოქცევა ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში. კერძოდ, განხორციელდა სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემის შესაბამისი მოდულების განახლება და 2015 წლის 1 იანვრიდან ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოექცა ყველა დონის ბიუჯეტი და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტი სრულად, როგორც დაგეგმვის, ისე აღსრულების ეტაპზე. რეფორმის შედეგად გაფართოვდა საბიუჯეტო ორგანიზაციის ტერმინის ქვეშ გათვალისწინებული დაწესებულებების წრე და საბიუჯეტო კოდექსის რეგულირების სფერო ვრცელდება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფუძნებულ ან/და მათ მიმართ ანგარიშვალდებულ/კონტროლს დაქვემდებარებულ ყველა იურიდიული პირზე (გარდა სამეწარმეო სტატუსის მქონე იურიდიული პირებისა და საქართველოს ეროვნული ბანკისა).

2015 წელს მომზადდა, ხოლო 2016 წელს გადამუშავდა დოკუმენტი „საქართველოს ფისკალური პოლიტიკა

და მართვა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან“⁴, რომელსაც ერთვის სამოქმედო გეგმა, სადაც ასახულია ევროკავშირის პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები საშუალოვადიან პერიოდში.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქვეყანაში საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით. 2016 წელს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით შემუშავდა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის N191 დადგენილება) და დეტალური მეთოდოლოგია (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის N165 ბრძანება), რომელიც აღწერს საინვესტიციო პროექტების შემუშავების წესებსა და პროცედურებს, განსაზღვრავს მონაწილე უწყებების როლებსა და პასუხისმგებლობებს სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესის ყველა სტადიისათვის საინვესტიციო პროექტების განხორციელების დაწყებამდე. აღნიშნული დოკუმენტები საშუალებას იძლევა შეფასდეს სხვადასხვა შემოთავაზებული კაპიტალური ინვესტიციები თანმიმდევრულად და დადგინდეს პროექტების პრიორიტეტულობა სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტის მომზადების პროცესში, როგორც მთელი ქვეყნის ეკონომიკის, ისე დარგობრივი მიმართულებებით.

2016 წლიდან რეგულარულად მზადდება წლიური ბიუჯეტის კანონის მოქალაქის გზამკვლევი და დონორების მხარდაჭერით ხორციელდება მისი ბეჭდური სახით გამოცემა და გავრცელება.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიმართულებით. 2015 წლიდან ყოველწლიურად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სამოქმედო გეგმას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თაობაზე, რომელსაც მთავრობის დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასების ანგარიში ასახავს საჯარო ფინანსების მართვის სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგებს და წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს მათ შორის სწორედ სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასების შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების ანალიზს და აღმოფხვრას.

შეფასების მიხედვით განხორციელებულია მნიშვნელოვანი რეფორმები შემდეგი მიმართულებებით:

- პროგრამული - შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება;
- საბიუჯეტო კლასიფიკაცია სრულყოფილია და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს (GFS/COFOG);
- საბიუჯეტო დოკუმენტაცია მოიცავს ბიუჯეტის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ ინფორმაციას, თუმცა ამ მიმართულებით საჭიროა დამატებით მუშაობა ახალი პოლიტიკის/ახალი ინიციატივების ფისკალური გავლენის შეფასების მიზნით;
- ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ტრანსფერების განაწილება ხორციელდება გამჭვირვალედ;
- ფისკალური ინფორმაცია სრულად ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის;
- საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმა დაწყებულია და საჭიროებს შემდგომ დანერგვას და გაუმჯობესებას;
- დანერგილია ბიუჯეტის მომზადების სრულყოფილი პროცესი, ნათლადაა ჩამოყალიბებული საბიუჯეტო კალენდარი;

⁴ <http://mof.ge/images/File/filesNew/Fiscal%20Governance%20%20study%20GEO%20saboloo.pdf>

- ჩამოყალიბებულია საშუალოვადიანი დაგეგმვის მდგრადი სისტემა, თუმცა მნიშვნელოვანია მისი შემდგომი გაუმჯობესება, მათ შორის მნიშვნელოვანია დოკუმენტი მოიცავდეს განმარტებას პროგნოზების ცვლილებებზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში მომზადებული საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შეფასებაც ადასტურებს საქართველოში არსებულ საუკეთესო ან კარგ პრაქტიკას საშუალოვადიანი დაგეგმვის, საბიუჯეტო კანონმდებლობის, კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადების სიხშირის, პროგრამული ბიუჯეტირების და სხვა მიმართულებებით. აღსანიშნავია, რომ შეფასების დოკუმენტს თან ახლავს 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმა, სადაც ასახულია კონკრეტული ღონისძიებები შემდგომი გაუმჯობესებისათვის, როგორებიცაა:

- ფისკალური ანგარიშები ინსტიტუციური ყოვლისმომცველობის გაზრდა (სსიპ-ების საკუთარი შემოსულობების ასახვა GFS ანგარიშებში);
- ფისკალური წესების გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;
- ფისკალური პროგნოზების ცვლილების შესახებ განმარტებების წარმოდგენა;
- სარეზერვო ფონდების ხარჯვის კრიტერიუმების შემუშავება და დანერგვა;
- მუნიციპალიტეტების ფინანსური ანგარიშების რეგულარულად გამოქვეყნება და სხვ.

საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებული ზემოაღნიშნული შეფასებები საშუალებას იძლევა გაანალიზდეს საჯარო ფინანსების მართვის სფეროში სხვადასხვა მიმართულებები, ამავდროულად კონკრეტული სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომელიც მოიცავს რამდენიმეწლიან პერიოდს გვეხმარება რეფორმების თანმიმდევრულად და სწორად განხორციელებაში.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში, ბიუჯეტირების მიმართულებით დასახული ღონისძიებები უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების ეფექტიან მართვას და გამჭვირვალობას, სხვადასხვა სექტორის განვითარების მიზნით დასახული პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მოზილეზას ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების პირობებში და სოციალური ვალდებულებების დაფარვის პარალელურად ეკონომიკის ზრდის ხელშემწყობი ფისკალური პოლიტიკის გატარებას.

2018-2021 წლების სტრატეგიის ამოცანები და მიზნები

სტრატეგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულებების (PEFA) შეფასების შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების გამოსწორებისა და აღმოფხვრის, ღია ბიუჯეტის კვლევის მეთოდოლოგიის მოთხოვნების შესრულების და ასევე ღია ბიუჯეტის ინდექსის გაუმჯობესების მიმართულებით. ამასთან, გათვალისწინებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების ფარგლებში ფისკალური გამჭვირვალობის (FTE) შეფასების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება და საჯარო ფინანსების მართვის სფეროში ბიუჯეტირების ნაწილში ევროკავშირის დირექტივებით განსაზღვრული ძირითადი პრინციპები. დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება შეესაბამება გაეროს მდგრადი განვითარების (SDG) მე-16 მიზანს.

2017 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნით საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების ფარგლებში მომზადდა დოკუმენტი „ფისკალური დისციპლინის ჩარჩოს გაძლიერება“ და არსებული სიტუაციის გაანალიზების შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა შესრულება გათვალისწინებულია 2018-2019 წლების განმავლობაში.

საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის პროგრამას.

საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა

2018-2021 წლებისათვის გაგრძელდება მუშაობა საშუალოვადიანი დაგეგმვის გაუმჯობესების

მიმართულებით. უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს მთავრობის პროგრამისა და სხვადასხვა სექტორის სტრატეგიების თავსებადობა საშუალოვადიან პარამეტრებთან; ჩამოყალიბდება მდგრადი და ეფექტიანი საშუალოვადიანი (არანაკლებ 4 წლიანი) საბიუჯეტო დაგეგმვა.

- ფისკალური პარამეტრების კანონმდებლობით დადგენილ ფისკალურ წესებთან (გადასახდელების წესი, ბალანსის წესი, ვალის წესი, შემოსავლების წესი) თავსებადობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენა;
- საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზების წარმოდგენა არსებული პოლიტიკის და პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში;
- წინა პერიოდის საშუალოვადიანი პარამეტრებისგან გადახრის გამომწვევი მიზეზების თაობაზე დეტალური განმარტების წარმოდგენა.

ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით გაგრძელდება სამუშაო შეხვედრები სამინისტროების წარმომადგენლებთან საბიუჯეტო პროცესის კოორდინირების და სრულფასოვნად წარმართვის მიზნით.

ფისკალური დისციპლინის გაძლიერება

განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების ფარგლებში მომზადებული ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების ანგარიშის სამოქმედო გეგმის განხორციელების, ასევე ამ მიმართულებით ევროკავშირის დირექტივების დანერგვის მიზნით. დაგეგმილია მოქმედი ფისკალური წესების შემდგომი დახვეწა და ფისკალური დაგეგმვის უფრო მდგრადი სისტემის დანერგვა, როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის ისე შესრულების ეტაპზე.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის

ჩამოყალიბება

გაგრძელდება აქტიური მუშაობა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ეფექტური სისტემის დანერგვის მიმართულებით. თითოეული პროექტის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღება მოხდება სათანადო კვლევისა და ანალიზის საფუძველზე. სისტემის დანერგვა საშუალებას მოგვცემს საინვესტიციო პროექტები წინასწარი შერჩევის ეტაპიდან მათი შესრულების შემდგომი შეფასების ეტაპის ჩათვლით განხორციელდეს დადგენილი მეთოდოლოგიით, წინასწარ განსაზღვრული პასუხისმგებელი სტრუქტურებისა და პირების მიერ. ჩამოყალიბდება საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი სისტემა, რაც ხელს შეუწყობს მხოლოდ იმ პროექტების განხორციელებას, რომლებიც დააკმაყოფილებენ სასიცოცხლო ციკლის შესაბამის ეტაპებზე არსებულ მოთხოვნებს, ამავდროულად გაუმჯობესდება სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანად გამოყენება. ჩამოყალიბდება აღნიშნული პროცესის კოორდინაციის ძლიერი მექანიზმი. გატარდება შესაბამისი ღონისძიებები პროცესში მონაწილე უწყებების კადრების გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით.

საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მხარდაჭერით განხორციელდება საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის პროცესის ელექტრონული პლატფორმის ინტეგრირება საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონულ სისტემაში (E-PFMS), რაც ხელს შეუწყობს რეფორმის უფრო სრულფასოვნად დანერგვას.

ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით გაგრძელდება ტრენინგების ციკლი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის საკითხებზე რეფორმაში ჩართული შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლებისთვის.

შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის ეფექტიანობის გაძლიერება

გაგრძელდება მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის შემდგომი დახვეწის მიმართულებით. უზრუნველყოფილი იქნება შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების სრულყოფილად დანერგვა, რაც გულისხმობს მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შემდგომ დახვეწას და როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის, ისე შესრულების შეფასების პროცესში მათ ძირითად ინსტრუმენტად

გამოყენებას. ბიუჯეტით გათვალისწინებული რესურსების ათვისების პარალელურად, მეტი ყურადღება გამახვილდება მიღწეული შედეგების შეფასებაზე. აღნიშნული მიმართულება აუცილებელია დაიგეგმოს შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის პარალელურად და მკაფიოდ განისაზღვროს თითოეული მხარჯავი დაწესებულების შიგნით თითოეულ შედეგზე პასუხისმგებელი სტრუქტურები/პირები და დაინერგოს შიდა ანგარიშგების ძლიერი სისტემა.

ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით მიმდინარე რეფორმის ფარგლებში გაგრძელდება შეხვედრები სამინისტროების და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის ძირითადი პრინციპების განხილვის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის შემდგომ გაუმჯობესებას.

ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის დანერგვა

გაგრძელდება მუშაობა ბიუჯეტის გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიმართულებით. ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდის საშუალებით. ჩამოყალიბდება ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის ეფექტური მექანიზმი.

გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევის შემუშავება. გათვალისწინებული იქნება ღია ბიუჯეტის კვლევის და სხვა გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საერთაშორისო ინსტრუმენტების მოთხოვნა რეფორმის შემდგომი ეტაპებისათვის.

ბიუჯეტის კვარტალურ და წლიურ ანგარიშგებაში გაძლიერდება ანგარიშგება დასახული მიზნებსა და შედეგებთან მიმართებაში და წლიური შედეგების საშუალოვადიან გეგმებთან თავსებადობის კუთხით.

განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის გაუმჯობესებისა და ბიუჯეტის მომზადების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით, მათ შორის, დონორების და საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მხარდაჭერით.

აღრიცხვა და ანგარიშგება

აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმა საჯარო სექტორში

სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე, აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმის ფარგლებში, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) ეტაპობრივი დანერგვა დაიწყო 2009 წლიდან, როდესაც ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის N701 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმით სტანდარტების მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის მიღწევა განისაზღვრა 2020 წლისათვის. რეფორმის განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის 2010 წლის 19 თებერვლის N38 დადგენილების საფუძველზე, შეიქმნა მთავრობის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო - საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭო, საბჭო პასუხისმგებელია საჯარო სექტორში ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და რეკომენდაციების შემუშავებაზე. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან (IFAC) გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ქართულ ენაზე ოფიციალურად ითარგმნა და საჯაროობისათვის გამოქვეყნდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) 2012 წლის სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს IPSAS 1-32 სტანდარტებს. პილოტური ფაზის (2011-2012 წწ) განხორციელების შემდეგ, 2013 წლიდან ეტაპობრივად განხორციელდა დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული შემდეგი სტანდარტების დანერგვა: IPSAS 1, IPSAS 2, IPSAS 3, IPSAS 4, IPSAS 5, IPSAS 6, IPSAS 9, IPSAS 13, IPSAS 14, IPSAS 16, IPSAS 18, IPSAS 19, IPSAS 20, IPSAS 22, IPSAS 23, IPSAS 24, IPSAS 25, IPSAS 26, IPSAS 32. IPSAS 36 და IPSAS 37.

2013 წლიდან ყოველწლიურად მზადდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ცენტრალური მთავრობისათვის, რომელიც ანგარიშვალდებულებისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად, ქვეყნდება სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე www.treasury.gov.ge. ამასთან, სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად, ყოველწლიურად მიმდინარეობს საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტერთა კვალიფიკაციის ამაღლება.

რაც შეეხება ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს, IPSAS რეფორმა მიმდინარეობს 2016 წლიდან. პირველ ეტაპზე, IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად, ცნობიერების ამაღლების მიზნით მოეწყო სემინარები თვითმმართველ ერთეულებში IPSAS სტანდარტების დანერგვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, საიმედო და ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების უზრუნველსაყოფად; 20-მდე მუნიციპალიტეტში ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა აღრიცხვის და ანგარიშგების არსებული სისტემის შესწავლას. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ თვითმმართველი ერთეულების საფინანსო სამსახურები, ხშირ შემთხვევაში, განსხვავებულ პროგრამულ უზრუნველყოფებს იყენებენ აღრიცხვა-ანგარიშგების მიზნებისათვის. სათანადო სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს აღრიცხვის და ანგარიშგების არსებული პრაქტიკა და სხვ. 2017 წელს განსაზღვრულია IPSAS დანერგვის სტრატეგიის შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის, რომლითაც წლების მიხედვით განისაზღვრება ყველა აუცილებელი ღონისძიება ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში IPSAS სტანდარტების 2020 წლამდე ეტაპობრივად დასაწერად.

აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე არსებული სააღრიცხვო სისტემა, ასევე, საჯარო სექტორში დასაქმებულ ბუღალტერთა კვალიფიკაციის დონე სრულყოფილად ვერ პასუხობს საერთაშორისო პრაქტიკას და მოთხოვნებს. ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში ანგარიშვალდებულების დღეისთვის არსებული ხარისხი ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსების მართვის მუდმივ მონიტორინგს და შეფასებას, გამომდინარე იქედან, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ საფინანსო სამსახურებისათვის ანგარიშგებების წარდგენას არ აქვს სისტემური ხასიათი. ხშირ შემთხვევაში, არ ხდება მათი გასაჯაროება და სხვ.

2018-2021 წლების სტრატეგიის ამოცანები და მიზნები

საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმის ფარგლებში, IPSAS დანერგვის მიზნით, განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- IPSAS დანერგვის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2018-2020 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში დარჩენილი სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვა;
- IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად, სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე ყოველწლიურად დანერგილ სტანდარტებში სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტერთა კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება სათანადო პროგრამის შესაბამისად გადამზადებული სერტიფიცირებული ტრენერების მიერ;
- ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში IPSAS სტანდარტების დანერგვა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის შემუშავებული სტრატეგიის შესაბამისად;
- IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში ყოველწლიურად დანერგილ სტანდარტებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბუღალტერთა კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება სათანადო პროგრამის შესაბამისად გადამზადებული სერტიფიცირებული ტრენერების მიერ;
- საჯარო ფინანსების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, 2020 წლის

მთლიანი მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება და გამოქვეყნება სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე;

- IPSAS სტანდარტებში ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობის და ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, ვებ-გვერდის www.accounting.gov.ge და www.accountant.gov.ge განვითარება - ვიდეორგოლების, გზამკვლევების, საინფორმაციო ბიულეტენების, პრეზენტაციების და ა.შ სახით განსათავსებლად;
- IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობად, IPSAS 33-40 სტანდარტების თარგმნა და რედაქტირება, აგრეთვე, არსებული IPSAS სტანდარტების განახლება.

ხაზინის ელექტრონული სისტემის (eTreasury) განვითარება

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 15 ივნისის N483 ბრძანების შესაბამისად დაინერგა სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის N578 ბრძანებით დამტკიცდა “სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის შესახებ” ინსტრუქცია. ელექტრონული ხაზინის დანერგვის შედეგად გაუქმდა რეგიონული ხაზინის 11 სამსახური და ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციები (როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში) ეტაპობრივად გადმოვიდნენ ახალი ტიპის სისტემაზე.

2015 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხაზინის ერთიან ანგარიშის სისტემაში მოქცევისა და სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე გადმოყვანის რეფორმის ფარგლებში, სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე ეტაპობრივად გადმოყვანილ იქნა ყველა დონის, ორი ავტონომიური და 76 ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები, ასევე, მათ მიერ დაფუძნებული სსიპ-ები და ა(ა)იპ-ები. ყველა აღნიშნული სუბიექტების შემოსულობების სწორად და დეტალურად აღრიცხვისათვის შეიქმნა ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდები, ასევე, ყველა მათგანს ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის შიგნით გაეხსნათ ანგარიშები, შემუშავდა ამ ანგარიშებზე სახსრების კონტროლის მექანიზმები.

ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები, ასევე, მათ მიერ დაფუძნებული ან/და ანგარიშვალდებული სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების განკარგულებაში არსებული დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ეფექტურად მართვისა და დამატებითი შემოსულობების გენერირებისათვის, ხაზინის ერთიანი ანგარიშის შიგნით გაიხსნა ანგარიშები და შეიქმნა მოდულები, რომელთაც აღნიშნულ ორგანიზაციებს აქვთ საშუალება ოპერატიულად (ოლნაინ რეჟიმში) მართონ ფულადი სახსრები (განათავსონ კომერციული ბანკების მიმდინარე/სადეპოზიტო ანგარიშებზე საპროცენტო სარგებლის მიღების მიზნით) და სხვ.

სახელმწიფო ხაზინის ფინანსების მართვის ერთიან საინფორმაციო სისტემაში დღეისათვის ინტეგრირებულია ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების მოდულები. ვებ-ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეს სისტემა უზრუნველყოფს საბიუჯეტო ოპერაციების რეალურ დროში განხორციელებას და საიმედო და დროული ანგარიშგებების წარმოებას. აღნიშნული მოდულებია:

- ბიუჯეტირების ელექტრონული მოდული - ვალდებულების აღება ელექტრონულ ხაზინაში ხდება ელექტრონული ბიუჯეტის კვარტალური განაწილების გეგმის ფარგლებში;
- ვალის მართვის სისტემის ელექტრონული მოდული - დონორების მიერ დაფინანსებული პროექტებისთვის;
- საკადრო რესურსების მართვის სისტემის ელექტრონული მოდული, სადაც მოცემულია ორგანიზაციული სტრუქტურა, საშტატო განრიგი, თანამდებობრივი სარგო,

დანიშვნა/გათავისუფლების თარიღები და ა.შ;

- შემოსავლების სამსახურთან ელექტრონული მოდული - ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების, დეპოზიტების სახით განთავსებული თანხების დაბრუნების ან ბიუჯეტში გადატანის ოპერაციების ელექტრონულად განხორციელებისათვის;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული მოდული - შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვების სისტემიდან რეგისტრირებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო ხაზინის სისტემაში ჩამოტვირთვა, ასევე ელექტრონული ხაზინიდან ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულებების მიხედვით განხორციელებული გადახდების შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის დროის რეალურ რეჟიმში მიწოდება და ა.შ.

ხაზინის ელექტრონული სისტემის მოდულებთან მუშაობის უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით პერიოდულად ხორციელდება თვითმმართველი ერთეულების, სსიპ-ებისა და ააიპ-ების საფინანსო სამსახურების წარმომადგენლების ტრენინგები და საინფორმაციო ხასიათის სამუშაო შეხვედრები.

2011 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ხაზინასა და მის მომსახურებაზე მყოფ ორგანიზაციებს შორის მუშაობს მხოლოდ ელექტრონული საგადახდელო დოკუმენტბრუნვა. ახალ სისტემაზე გადასვლის შედეგად საბიუჯეტო სახსრების მართვის პროცესში თითქმის საერთოდ გაუქმდა ქალაქის დოკუმენტების მოძრაობა მხარჯავ ორგანიზაციებსა და სახაზინო სამსახურს შორის, რამაც გამოიწვია დროისა და ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი დაზოგვა, აგრეთვე გაუმჯობესდა მომსახურების ხარისხი და გაიზარდა პროცესების გამჭვირვალობის დონე.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე ყველა დონის, ორი ავტონომიური და 76 ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები, ასევე, მათ მიერ დაფუძნებული სსიპ-ები და ა(ა)იპ-ები, საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირების გარკვეული ნაწილი (საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების სახით) სისტემის გარეთ რჩება. გარდა ამისა, დღესდღეობით სისტემაში სრულყოფილად არ ფუნქციონირებს დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნი, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა ყველა ოპერაციის ორმაგი ჩაწერის პრინციპით ასახვა. სრულ ფინანსურ ინფორმაციაზე დროული წვდომა კი თავის მხრივ, გაუმჯობესებდა ფისკალური გადაწყვეტილებების ეფექტიანობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხაზინის ელექტრონული სისტემის (eTreasury) განვითარების/გაფართოების და დახვეწის მიზნით, იგეგმება შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული ყველა ტრანზაქციის და ჩანაწერის ერთიან სისტემაში ინტეგრირებას, IPSAS-ზე დაფუძნებული ერთიანი ანგარიშთა გეგმის შემოღებას და მთავრობის აქტივ-პასივების ბალანსის არსებობას დროის რეალურ რეჟიმში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების ზრდას და მენეჯმენტისთვის ინფორმაციის მომზადებას საფინანსო რესურსების ეფექტიან ხარჯვაზე გადაწყვეტილებების მისაღებად. აღნიშნული სისტემის სრულად ამოქმედება განსაზღვრულია 2020 წლისათვის;
- საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში ფულადი სახსრების მართვის მოდულის განვითარება;
- საჯარო ფინანსების მართვის სისტემის სხვადასხვა ფუნქციონალებს შორის ურთიერთკავშირის გაძლიერება და საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპის ერთ სივრცეში ინტეგრირება;
- საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებისა და მათი

საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის რეალურ დროში მიღების მიზნით, ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირება;

- მიმდინარე ბიზნეს-პროცესების დახვეწა, გამარტივება და არსებული საინფორმაციო სისტემის მოდერნიზება;
- ხაზინის ელექტრონული სისტემის მოდულებთან მუშაობის უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

ფულადი სახსრების მართვის რეფორმა

საჯარო ფინანსების წარმატებული რეფორმის ფარგლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ფულადი სახსრების მართვის რეფორმა, რაც გულისხმობს სახელმწიფო ხაზინის ფულადი სახსრების მართვის ეფექტურობის და ეფექტიანობის ზრდას. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 184 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია დამატებითი საბიუჯეტო შემოსულობების მიღების მიზნით თავის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები განათავსოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად. აღნიშნული ფუნქციის განსახორციელებლად, 2015 წელს სახელმწიფო ხაზინაში შეიქმნა შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომლის კომპეტენციაშიც შედის ფულადი სახსრების პროგნოზირება და მართვა.

ფულადი სახსრების მართვის რეფორმის მიმართულებით, 2014-2017 წლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ევროკავშირის სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში დაფინანსებულ იქნა ტექნიკური დახმარების მისია, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო ექსპერტებმა ხაზინის თანამშრომლებთან ერთად შეიმუშავეს ფულადი სახსრების ეფექტიანი მართვის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანწილად ურისკო ფულის მართვის მექანიზმები, რაც იძლევა დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლების გენერირების შესაძლებლობას;
- აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კარგი მმართველობის ინიციატივის (GGI) პროგრამის მხარდაჭერით, ფულის მართვის მოდულის ანალიტიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების მიზნით, მომზადდა პროგრამული უზრუნველყოფის მოთხოვნებისა და მახასიათებლების სამუშაო დოკუმენტი. დოკუმენტში აღწერილია ფულადი სახსრების ფინანსურ ინსტრუმენტებში განთავსებისათვის საჭირო პროცესისა და პროგრამული უზრუნველყოფის დეტალები;
- ევროკავშირის დაფინანსებით მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტებმა სახელმწიფო ხაზინის თანამშრომლებისათვის ჩაატარეს რამდენიმე ეტაპიანი ტრეინინგი ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის საკითხებზე;
- მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა გაწეული საინფორმაციო სისტემა „ბლუმბერგის“ წარმომადგენლებთან, რომლის ფარგლებშიც „ბლუმბერგის“ ექსპერტებმა სახელმწიფო ხაზინის თანამშრომლებს ჩაუტარეს ტრეინინგები სისტემის სხვადასხვა მოდულის გამოყენების შესახებ და გაუზიარეს მნიშვნელოვანი გამოცდილება;
- უზრუნველყოფილი იქნა ფულადი სახსრების განთავსების სატესტო აუქციონების ჩატარება ელექტრონული პლატფორმა ბლუმბერგის ბაზაზე;
- საქართველოს ეროვნულ ბანკთან და კომერციულ ბანკებთან კონსულტაციებისა და სამუშაო შეხვედრების შედეგად მოხდა შეთანხმება სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების კომერციულ ბანკებში განთავსების ძირითად პრინციპებზე;
- სახელმწიფო ხაზინამ შეიმუშავა „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესი“. წესი დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის #301 დადგენილებით. დადგენილების მიხედვით, სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში

არსებული ფულადი სახსრების განთავსება ხდება დეპოზიტის ან/და უზრუნველყოფილი დეპოზიტის ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მრავალი ფასის მეთოდით. აუქციონი ტარდება სახელმწიფო ხაზინაში და მასში მონაწილეობის მიღება აქვთ კომერციულ ბანკებს. სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების დეპოზიტზე/უზრუნველყოფილ დეპოზიტზე განთავსება ხდება აუქციონზე დაკმაყოფილებული განაცხადების შესაბამისად;

- 2017 წლის 4 ივლისს, ზემოთაღნიშნული დადგენილების შესაბამისად, სახელმწიფო ხაზინამ განახორციელა პირველი აუქციონი ბლუმბერგის სისტემაში, უზრუნველყოფილი ვადიანი დეპოზიტის კომერციულ ბანკებში განთავსებასთან დაკავშირებით. აუქციონები ტარდება მუდმივად. 2017 წელს სახელმწიფო ხაზინამ ბლუმბერგის სისტემაში გამართა სულ 19 აუქციონი.

ფულადი სახსრების მართვის რეფორმის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების მიუხედავად, მნიშვნელოვან ღონისძიებად რჩება ფულის მართვის მექანიზმების და ინსტრუმენტების შემდგომი განვითარება, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო ფულადი სახსრების ეფექტურ და ეფექტიან მართვას და პროგნოზირებას და დამატებითი შემოსავლების მოზილიზებას სახელმწიფო ხაზინაში.

დაგეგმილი რეფორმების განხორციელება უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების ეფექტიან მართვას და გამჭვირვალობას. კერძოდ, შესაძლებელი გახდება დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნის (TGL) - მთავრობის აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დროის რეალურ რეჟიმში წარმოება; მომზადდება მთლიანი მთავრობის ფინანსური ანგარიშგება დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად; ფულის მართვის მექანიზმების და ინსტრუმენტების განვითარების შედეგად განხორციელდება სახელმწიფო ფულადი სახსრების ეფექტური და ეფექტიანი მართვა და პროგნოზირება და დამატებითი შემოსავლების მოზილიზება სახელმწიფო ხაზინაში; სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა გაფართოვდება საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში (PFMS) ჩართვით და ა. შ

საგადასახადო და საბაჟო საკითხები

მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა უზრუნველყოფს კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისათვის, ასევე, ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის, მიმზიდველი და სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნას. სტრატეგიულ სამიზნეს წარმოადგენს საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საგადასახადო სისტემის სიმარტივე, სიცხადე, სამართლიანობა, სრულყოფილება და განაკვეთების ოპტიმალური დონე.

გასული წლების განმავლობაში ქვეყანაში განხორციელებული საგადასახადო პოლიტიკის მიზანი იყო სტაბილური საგადასახადო გარემოს ჩამოყალიბება, სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული საგადასახადო და გონივრული ადმინისტრირების სისტემის ჩამოყალიბება, ბიზნესის ლეგალიზაციის ხელშეწყობა, ცალკეული დარღვევების დეკრიმინალიზაცია.

არსებული კურსის ფარგლებში მიმდინარეობდა საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, მისი ოპტიმიზაციის მიზნით ბუნდოვანი და ორმაგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის მომცემი დებულებების აღმოფხვრა, გადასახადის გადამხდელთათვის სანქციების ლიბერალიზაცია, საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა.

ბოლო წლებში საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად:

ეტაპობრივად 3 წლამდე შემცირდა საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული 6 წლიანი ხანდაზმულობის ვადები;

განხორციელდა ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი დევნის შეზღუდვა (დეკრიმინალიზაცია);

შემსუბუქდა სანქციები საკონტროლო-სალარო აპარატის და სასაქონლო ზედნადების გარეშე საქმიანობის წესები დარღვევისათვის, აგრეთვე დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის;

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების ერთწლიანი ვადა გაიზარდა 3 წლით;

განხორციელდა მოგების გადასახადის რეფორმა, რომლის შედეგად ამოქმედდა ახალი დაბეგვრის მოდელის დებულებები; კერძოდ, მოგების გადასახადით იბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება და განსაზღვრული კატეგორიის ხარჯები/გადახდები.

კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ფიზიკური პირები და არარეზიდენტები თავისუფლდებიან საშემოსავლო და მოგების გადასახადებისგან სასესხო და წილობრივი ფასიანი ქაღალდის მიწოდებით და სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებულ შემოსავალზე, თუ ფასიანი ქაღალდი გამოშვებულია რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით და სავაჭროდ დაშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე.

საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე აქვს აღებული საბაჟო და საგადასახადო (არაპირდაპირი გადასახადების ნაწილში) კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების ვალდებულება, რის საფუძველზეც განხორციელდა არაერთი საკანონმდებლო ცვლილება. მოხდა საბაჟო წესებისა და პროცედურების დახვეწა. ასოცირების შეთანხმების ფარგლებში დამუშავდა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (AEO) ევროკავშირში მოქმედი რეგულაციები და აისახა ქართულ კანონმდებლობაში.

შემუშავდა საბაჟო სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტის პროექტი, რომლის განხილვა მოხდა ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილ საბაჟო ქვეკომიტეტზე. ქვეკომიტეტის მითითებების საფუძველზე გაგრძელდა კანონპროექტის სრულყოფაზე მუშაობა. შემუშავდა და პროექტის სახე მიეცა 2009 წლის 16 ნოემბრის საბჭოს (EC) N1186/2009 საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების თაობაზე ევროკავშირის სისტემის შექმნის შესახებ რეგულაციას.

2014-17 წწ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებების არეალის გაფართოებაზე. აღნიშნულ პერიოდში ძალაში შევიდა „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ შეთანხმებები შემდეგ სახელმწიფოებთან: შვედეთი, პორტუგალია, ბელარუსი, ისლანდია, კვიპროსი, კორეა, ლიხტენშტაინი. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა შეთანხმება ყირგიზეთის რესპუბლიკასთან, ხოლო ხელი მოეწერა შეთანხმებას მოლდოვასთან. ამასთან, საანგარიშო პერიოდში გაიმართა მოლაპარაკებები და მოხდა შეთანხმების ტექსტის პარაფირება საუდის არაბეთთან და მაროკოსთან, ხოლო განახლებული იქნა შეთანხმება პოლონეთთან.

2014-2016 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს იურისდიქციის შეფასება გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. 2016 წლის 11 მარტს გლობალური ფორუმის მიერ დამტკიცებული იქნა საქართველოს იურისდიქციის შეფასების მე-2 ფაზის ანგარიში. სამწლიანი პრაქტიკის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ სფეროში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს (რეიტინგი largely compliant). 2017 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები 2016 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად საქართველოს იურისდიქციის შეფასების მიზნით. საქართველოს შეფასება ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე დაგეგმილია 2020 წლის პირველ ნახევარში.

2014 წლის 29 ოქტომბერს საქართველო არჩეულ იქნა გლობალური ფორუმის ექსპერტთა ჯგუფის წევრად (PEER REVIEW GROUP (PRG)). აღნიშნული ჯგუფი მუშაობს საგადასახადო გამჭვირვალობისა და

ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტის დახვეწაზე და გლობალური ფორუმის წევრი და არაწევრი სახელმწიფოების კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასებაზე. ექსპერტთა ჯგუფში გაწევრიანებულია 30 სახელმწიფო.

2015 წლიდან საქართველო ჩართულია დიდი ოცეულის მოთხოვნის საფუძველზე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ ინიცირებული დასაბეგრი ბაზის შემცირების და მოგების გადატანის (BEPS) პროექტში, რომლის მიზანია აგრესიული და საზიანო საგადასახადო პრაქტიკის აღკვეთის მიზნით ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ინსტრუმენტების შემუშავება.

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს 15 ღონისძიებას, მათ შორის 4 მინიმალურ სტანდარტს: (i) მე-5 ღონისძიება - საზიანო საგადასახადო პრაქტიკის აღკვეთა; (ii) მე-6 ღონისძიება - საგადასახადო შეთანხმებების ბოროტად გამოყენების აღკვეთა; (iii) მე-13 ღონისძიება - გარიგებების შეფასება და ქვეყნების მიხედვით ანგარიშგება; და (iv) მე-14 ღონისძიება - დავების გადაჭრის ეფექტიანობის გაუმჯობესება.

2016 წლის ივნისს საქართველო გახდა BEPS-ის პროექტის დანერგვის მიზნით შექმნილი ინკლუზიური პლატფორმის ასოცირებული წევრი სახელმწიფო და აიღო BEPS-ის 4 მინიმალური სტანდარტის დანერგვის ვალდებულება. ხოლო 2016 წლის 1 ივლისს ქ. კიოტოში (იაპონია) BEPS-ის ინკლუზიური პლატფორმის პირველი შეხვედრაზე დამტკიცდა ინკლუზიური პლატფორმის ხელმძღვანელი ჯგუფის (Steering group) შემადგენლობა, რომელშიც არჩეულ იქნა საქართველო.

BEPS-ის პროექტის მე-5 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული მინიმალური სტანდარტის დანერგვის პროცესის კოორდინაციას უზრუნველყოფს საზიანო საგადასახადო პრაქტიკის შესახებ ფორუმი (FHTP).

2017 წელს FHTP-ის მიერ განხორციელდა საქართველოში არსებული პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმების შესწავლა (საერთაშორისო ფინანსური კომპანია; თავისუფალი ინდუსტრიული ზონა; სპეციალური სავაჭრო კომპანია; ვირტუალური ზონის პირი) და კანონმდებლობის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ საერთაშორისო ფინანსური კომპანია და ვირტუალური ზონის პირი არის „პოტენციურად არა საზიანო“, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და სპეციალური სავაჭრო კომპანია - „FHTP-ის მიზნებისთვის არა საზიანო“.

ამასთან, 2017 წლის მარტიდან საქართველო არჩეულ იქნა FHTP-ის ბიუროს წევრ ქვეყნად, ხოლო 2017 წლის მაისის თვიდან საქართველო წარმოადგენს საზიანო საგადასახადო პრაქტიკის ფორუმის კრიტერიუმების გადახედვის ფოკუს ჯგუფის წევრს.

BEPS-ის პროექტის მე-6 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული მექანიზმების, „საუკეთესო პრაქტიკის“ და მინიმალური სტანდარტების დანერგვის მიზნით, 2016 წელს შემუშავებული იქნა მრავალმხრივი საგადასახადო ინსტრუმენტი (Multilateral Convention to Implement Tax Treaty Related Measures to Prevent BEPS - MLI). აღნიშნული ინსტრუმენტის მიზანია, საერთაშორისო საგადასახადო სფეროში არსებული აგრესიული საგადასახადო დაგეგმვის აღმოფხვრა და საგადასახადო მიზნებისთვის დაბალი გადასახადების მქონე იურისდიქციებში საქმიანობის გადატანის აღკვეთა. მრავალმხრივი საგადასახადო ინსტრუმენტის საფუძველზე ცვლილებები შევა „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ საგადასახადო შეთანხმებებში, და მისი ხელმომწერნი უფლებამოსილნი არიან ინსტრუმენტის რიგ დებულებასთან მიმართ გააკეთონ დათქმები, წარადგინონ პოზიციები და არჩევანი. ამ მიზნით, 2016-2017 წლებში გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, როგორც დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და საერთაშორისო ექსპერტებთან, ასევე ორმხრივი მოლაპარაკებები შემდეგ სახელმწიფოებთან: სერბეთი, სლოვაკეთი, სამხრეთ კორეა, ლუქსემბურგი, სლოვენია, ინდოეთი, შვეიცარია, ესტონეთი, ისრაელი, სინგაპური, ლიხტენშტაინი, ნიდერლანდები. ამასთან, ჩატარდა ანალიზი საქართველოს მიერ ხელმოწერილი და ძალაში შესული ორმაგი დაბეგვრის შეთანხმებებს, და OECD-ის სამდივნოს წარედგინა MLI-სთან მიმართებით საქართველოს პოზიციების, დათქმების და არჩევნების შესახებ დოკუმენტი.

აქვე აღსანიშნავია, რომ მრავალმხრივ საგადასახადო ინსტრუმენტს საქართველომ ხელი მოაწერა 2017 წლის 7 ივნისს, ქ. პარიზში გამართული OECD-ის კვირეულის დროს, მინისტერიალის საბჭოს შეხვედრების ფარგლებში. 2017 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა MLI-ის რატიფიცირებისთვის საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები.

BEPS-ის პროექტის მე-14 ღონისძიების მინიმალური სტანდარტის დანერგვას უზრუნველყოფს FTA MAP ფორუმი. 2017 წლის მაისიდან საქართველო მონაწილეობას ღებულობს FTA MAP ფორუმის საქმიანობაში. ასევე აქტიურად არის ჩართული და წარმოდგენილია აღნიშნული ფორუმის ბიუროში.

2018-2021 განსახორციელებელი მიმართულებები

2006 წლის 28 ნოემბრის საბჭოს 2006/112/EC დირექტივასთან, დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო სისტემის შესახებ, კანონმდებლობის აპროქსიმაცია გრძელდება და დასრულდება ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში - შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 წელიწადში, კერძოდ, 2019 წლის სექტემბრისთვის. დირექტივის ჰარმონიზაციის ვალდებულება გულისხმობს საქართველოში მოქმედი დღგ-ს მთლიანი სისტემის ჰარმონიზებას ევროკავშირის სისტემასა და კანონმდებლობასთან. იგეგმება საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და ბიზნესისთვის გაცნობა, რომელიც დაკავშირებულია, მათ შორის, დასაბეგრი პირის, მომსახურების გაწევის ადგილის, ფიქსირებული დაწესებულების ცნებებთან და რომელთა დანერგვა ჩვენს საგადასახადო კანონმდებლობაში მნიშვნელოვნად შეცვლის დღგს არსებულ დღგ-ის მარეგულირებელ საკანონმდებლო ჩარჩოს.

ინვესტორებისათვის საგადასახადო გზამკვლევის “pocket tax book“ ახალ ვერსიაზე მიმდინარეობს მუშაობა და გამოიცემა ბროშურების სახით.

იგეგმება მეწარმე ფიზიკური პირების დაბეგვრის მექანიზმების გამარტივებისთვის შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. ასევე, ორგანიზაციებისთვის მოგების გადასახადის ახალი მოდელის გავრცელება.

კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის მოგების გადასახადის ახალ მოდელზე გადასვლა განსაზღვრულია 2019 წლის 1 იანვრამდე. გაგრძელდება მუშაობა აღნიშნული პირების ახალ მოდელზე გადაყვანის მიზანშეწონილობის განსასაზღვრად.

საერთაშორისო საგადასახადო ხელშეკრულებების არეალის გაფართოება

2018-2021 წწ. დაგეგმილია პრიორიტეტულ სახელმწიფოებთან “შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ შეთანხმებების გაფორმება, ხოლო რიგ სახელმწიფოსთან, საჭიროებიდან გამომდინარე, არსებული შეთანხმების განახლება. ამასთან, დაგეგმილია საქართველოსა და ომანს, ლიბანის, საუდის არაბეთის და მაროკოს შორის პარაფირებული, ხოლო საქართველოსა და პოლონეთის შორის განახლებული შეთანხმებების ხელმოწერა. ამასთან, საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის გაფორმებული შეთანხმების რატიფიცირების შემდეგ, ხოლო ყირგიზეთის რესპუბლიკის მიერ შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდეგ შეთანხმებები მოლდოვასთან და ყირგიზეთთან შევა ძალაში. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოს შორის გაიმართა მოლაპარაკებების პირველი რაუნდი შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების დადების მიზნით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაგეგმილია მოლაპარაკებების მეორე რაუნდის გამართვა.

დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) პროექტი

საქართველომ, როგორც დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) ინკლუზიური პლატფორმის წევრმა სახელმწიფომ აიღო ვალდებულება უზრუნველყოს BEPS-ის პროექტით გათვალისწინებული 4 მინიმალური სტანდარტის დანერგვა და შემდგომი მონიტორინგი.

აღნიშნულის მიზნით:

- BEPS-ის მე-5 ღონისძიების (საზიანო საგადასახადო პრაქტიკა) ფარგლებში დაგეგმილია საქართველოში არსებული რეჟიმის, კერძოდ: საერთაშორისო ფინანსური კომპანია, ვირტუალური ზონების პირი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, საერთაშორისო სავაჭრო კომპანია - მონიტორინგი და საგადასახადო გადაწყვეტილებებზე ინფორმაციის სპონტანურ გაცვლას.
- BEPS-ის მე-6 ღონისძიების (საგადასახადო შეთანხმებების ბოროტად გამოყენების აღკვეთა) - აღნიშნული ღონისძიებით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები გათვალისწინებულია მრავალმხრივი საგადასახადო ინსტრუმენტით. აღნიშნულ ინსტრუმენტს საქართველომ ხელი მოაწერა 2017 წლის ივნისში. ამჟამად მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები საქართველოს პარლამენტის მიერ მისი რატიფიცირების მიზნით. 2018-2021 წლებში დაგეგმილია მრავალმხრივი ინსტრუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების დანერგვა და შემდგომი მონიტორინგი. კერძო, 2019 წლიდან იგეგმება მრავალმხრივი ინსტრუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების დანერგვის შეფასება.
- BEPS-ის მე-13 ღონისძიების (გარიგებების შეფასება და ქვეყნების მიხედვით ანგარიშგება) დანერგვა და ქვეყნების მიხედვით ანგარიშგების წარმოების მიზნით საკანონმდებლო ნორმების შემუშავება.
- BEPS-ის მე-14 ღონისძიების (დავების გადაჭრის ეფექტიანობის გაუმჯობესება) დანერგვა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება. აღნიშნულის ფარგლებში მიმდინარეობს ქვეყნების შეფასება მათ მიერ მე-14 ღონისძიების მინიმალური სტანდარტის შესრულების და მონიტორინგის მიზნით. საქართველოს შეფასება მე-14 ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია 2020 წელს. აღნიშნულის მიზნით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველო უზრუნველყოს ყველა აუცილებელი საკანონმდებლო პროცედურების განხორციელებას.

საგადასახადო სფეროში გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის

გლობალური ფორუმი

გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ფარგლებში საერთაშორისო საგადასახადო სტანდარტების დანერგვა და მათი სრულყოფა. ამასთან, გლობალური ფორუმის ახალი 2016 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად საქართველოს იურისდიქციის შეფასების მიზნით კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება. ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად საქართველოს იურისდიქციის შეფასება დაგეგმილია 2020 წელს.

საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფა

უნდა განხორციელდეს არსებული საბაჟო კანონმდებლობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტის პროექტის გადამუშავება და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 9 ოქტომბრის (EU) №952/2013 რეგულაციისა და 2009 წლის 16 ნოემბრის საბჭოს (EC) №1186/2009 საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების თაობაზე ევროკავშირის სისტემის შექმნის შესახებ რეგულაციის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

საბაჟო კანონმდებლობის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება.

შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები საგადასახადო და საბაჟო სფეროში

ბოლო 4 წლის განმავლობაში შემოსავლების სამსახური განაგრძობდა მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას. როგორც გათვალისწინებული იყო, საჯარო ფინანსების მართვის 2014-2017 წლის სტრატეგიით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციის მიმართულებით და 6-დან 3 წლამდე შემცირდა საგადასახადო შემოწმების ხანდაზმულობის ვადა; დაინერგა მოგების გადასახადის ესტონური მოდელი; გაგრძელდა ელექტრონული სერვისების შემდგომი დახვეწა და ადმინისტრირების პროცესის გამარტივება მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები გადამხდელებისთვის; შემუშავდა კანონშესაბამისობის რისკის მართვის სტრატეგია, რამაც შესაძლებელი გახდა უფრო დახვეწილი და საიმედო რისკ ფაქტორების შემუშავება გადამხდელთა ცალკეული სეგმენტისთვის ინდივიდუალურად. სამსახურის მიერ ადმინისტრირების მიმართულებით გატარებული რეფორმების წარმატება არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღინიშნა და დადასტურდა სხვადასხვა კვლევის შედეგებითაც. მაგალითად, მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსის ანგარიშის მიხედვით, „გადასახადების გადახდის კომპონენტში“ ბოლო წლებში ადმინისტრირების პროცესზე დადებითი ზეგავლენის მქონე რეფორმების გატარების შედეგად, საქართველოს აქამდე მონიჭებულ რეიტინგებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი, მე-16 ადგილი მიენიჭა. შემოსავლების სამსახურის მიერ გატარებული რეფორმების წარმატება ხაზგასმით აღინიშნა ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკურ შეფასებებში, თუმცა ამავე შეფასებებით გამოვლინდა ნაკლოვანებებიც. ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით შემუშავდა სამსახურის ოთხწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც მიმართული იქნება რისკზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის შემდგომ სტიმულირებაზე და წახალისებაზე; სამსახურის ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფაზე და ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესის ხელშეწყობაზე.

2018-2021 განსახორციელებელი მიმართულებები

- ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ხელშეწყობა;
- ინოვაციური ტექნოლოგიების მეშვეობით დაინტერესებულ პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურების გაწევა;
- საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგებზე ადრეულ ეტაპზე რეაგირება და საგადასახადო დავალიანების მართვა;
- საგადასახადო და საქართველოს საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისგან თავის არიდების ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება;
- ფუნქციური საჭიროებების თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა;
- საგადასახადო ვალდებულებათა ასახვის მიზნით, მონაცემთა ბაზებში გადამხდელთა სეგმენტაცია სხვადასხვა კრილში და მონაცემთა სისწორის უწყვეტი კონტროლის სისტემის შემუშავება;
- ადამიანური რესურსების მართვის სფეროში თანამედროვე მიდგომების განხორციელება;
- სტრატეგიის განხორციელების უზრუნველსაყოფად საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემების შემდგომი განვითარება;
- საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებულ დირექტივებთან, რეგულაციებთან მიახლოებული ნორმატიული აქტების, საერთაშორისო კონვენციების განხორციელება;
- სანიტარულ, ფიტოსანიტარულ, ვეტერინარულ სასაზღვრო კონტროლის პროცედურებთან დაკავშირებულ დირექტივებთან, რეგულაციებთან მიახლოებული ნორმატიული აქტების განხორციელება;

- საგადასახადო პროცედურებთან დაკავშირებულ დირექტივებთან, რეგულაციებთან მიახლოებული ნორმატიული აქტების განხორციელება.

აღნიშნული მიმართულებების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება დღგ-ის ავტომატური დაბრუნების რისკზე დაფუძნებული მიდგომები, დამტკიცდება საგადასახადო დავალიანების მართვის სტრატეგია და დაიწყება მისი განხორციელება, დაიხვეწება გადამხდელების ბაზები/საინფორმაციო ბაზები/პროგრამული მოდულები, დაინერგება თანამედროვე მიდგომები ადამიანური რესურსების მართვის სფეროში და განხორციელდება ასოცირების შეთანხმების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ქმედებები.

მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა

მაკროეკონომიკური ანალიზი და პროგნოზირება

გასული წლების მანძილზე მიმდინარეობდა მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების სრულყოფის ღონისძიებები. საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ჩამოყალიბდა მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მუშაობს საშუალოვადიანი და გრძელვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზირების სრულყოფაზე. აღნიშნულ დეპარტამენტში ხორციელდება როგორც მაკროეკონომიკური, აგრეთვე ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზი. განხორციელებული სამუშაოების შედეგად მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების ხარისხი. არსებული მდგომარეობა სრულებით შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და 2017 წელს მომზადებული სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასების ანგარიშში შეფასებულია საუკეთესო (A) ქულით.

მაკროეკონომიკური პროგნოზის არეალი მოიცავს ეკონომიკის ყველა სექტორს: რეალური სექტორი, საგარეო სექტორი, სახელმწიფო ფინანსები და მონეტარული სექტორი. არსებული პროგნოზების გათვალისწინებით, ქვეყნდება ოთხწლიანი ფისკალური ჩარჩო, რომელიც ასახავს მიმდინარე გამოწვევებისადმი ფისკალური პოლიტიკის პასუხს. ამ ჩარჩოს ეფუძნება საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჩარჩო. ძირითადი ცვლადებისათვის კეთდება ასევე ე.წ. ალბათური პროგნოზები შესაბამისი ფანჩარტებით მიმდინარე, დასაგეგმი და მომდევნო სამი წლისთვის, სადაც წერტილოვან პროგნოზებთან ერთად მოცემულია საზღვრები შესაბამისი ალბათობებით, რა ინტერვალშიც არის მოსალოდნელი მოვლენების განვითარება.

გაუმჯობესების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის განვითარება და გასაჯაროება. რისკების ანალიტიკურ დოკუმენტში, რომელიც საბიუჯეტო დოკუმენტაციის ნაწილია 2014 წლიდან გაანალიზებულია ეგზოგენური რისკ-ფაქტორები, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ პროგნოზებზე და გამოიწვიონ მოვლენების პოზიტიური, ან ნეგატიური სცენარით განვითარება. ამავე დროს ანალიზი მოიცავს წელს მოსალოდნელი რისკ ფაქტორებიდან რეალიზებული რისკების გავლენის ანალიზს, პოლიტიკის შესაბამის პასუხებთან ერთად. სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე საბიუჯეტო დოკუმენტაცია მოიცავს სცენარების ანალიზს, რომელიც საბაზისო, ყველაზე მოსალოდნელ სცენართან ერთად განიხილავს ეგზოგენური ფაქტორების განვითარების ალტერნატიული სცენარების პირობებში მოსალოდნელ პროგნოზებს. მაკროეკონომიკური პროგნოზი ქვეყნდება სამ სცენარად ალტერნატიულ მაკროეკონომიკურ ვარაუდებზე დაყრდნობით: საბაზისო - ყველაზე მოსალოდნელი, პოზიტიური და ნეგატიური. აღნიშნული სცენარები ასახულია

საბიუჯეტო დოკუმენტაციაში პროგნოზებთან ერთად. პოზიტიური და ნეგატიური სცენარების ანალიზი ასევე მოიცავს ფოსკალური პოლიტიკის პასუხებს, მათი შესაძლო განვითარების პირობებში.

მაკროეკონომიკური ანალიზი და პროგნოზირება დადებითადაა შეფასებული სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფოსკალური გამჭვირვალობის შეფასების მისიის მიხედვით უმაღლეს შეფასებას იმსახურებს მაკროეკონომიკური რისკების შეფასება და გამჭვირვაება, ასევე „კარგ“ შეფასებას იმსახურებს მაკროეკონომიკური პროგნოზირება. შედარებით სუსტ მხარედ მიჩნეულია შედარებით მაღალი უზუსტობა. თუმცა გამჭვირვალობის შეფასების დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ უზუსტობა ნაწილობრივ საქართველოს ეკონომიკის მაღალი მერყეობითაც აიხსნება. ამასთან აღნიშნულია ის ფაქტი, რომ პროგნოზების გადახრა მნიშვნელოვნად შემცირდა ბოლო პერიოდის განმავლობაში. მაკროეკონომიკური პროგნოზირების მეთოდოლოგია მუდმივი სრულყოფის პროცესშია და მომავალშიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას მისი სიზუსტის ზრდა წარმოადგენს, რასაც ხელს შეუწყობს მოდელირების ტექნიკის შემდგომი განვითარება პროგნოზირებისა და პოლიტიკის ანალიზისათვის.

ფოსკალური გამჭვირვალობის შეფასების მიერ სისუსტედ იქნა მიჩნეული პროგნოზების შედარების არარსებობა. ფინანსთა სამინისტრომ ამ მიმართულებით უკვე დაიწყო მუშაობა. ფოსკალური გამჭვირვალობის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის მიხედვით 2017 წელს უკვე განხორციელდა მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზი. დეტალურად იქნა განხილული იქნა თუ როგორ შეიცვალა საშუალო-ვადიანი პროგნოზების გასულ წელთან შედარებით, შესაბამისი გამომწვევი მიზეზების ახსნით. დოკუმენტი დართულ იქნა 2018 ბიუჯეტზე. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს პროგნოზების შედარების შემდგომ განვითარებას. 2018 წლის ბოლოსათვის რეკონსილიაცია გაუმჯობესდება პროგნოზების შესაძლო ცვლილებების ახსნის მიმართულებით როგორც მაკროეკონომიკური ფაქტორების, ისე ფოსკალური პოლიტიკის და სხვა ცვლილებების იდენტიფიცირების შედეგად. ფოსკალური პოლიტიკის ანალიზის მოდელის შემუშავების შემდგომ უკვე შესაძლებელი იქნება სრულყოფილად გაანალიზდეს ის ფაქტორები რამაც გამოიწვია პროგნოზისაგან გადახრა. ასევე შესაძლებელი გახდება კონკრეტული შოკების კონტრიბუციების განსაზღვრა პროგნოზის შეცდომაში.

გარდა პროგნოზირებისა, ასევე მნიშვნელოვნად დაიხვეწა მაკროეკონომიკური ანალიზის მიმართულებაც. გამოიცემა ყოველთვიური პუბლიკაცია - „მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები“, სადაც საფუძვლიანად არის მიმოხილული საქართველოს ეკონომიკის განვითარება. პუბლიკაცია მოიცავს ყველა მნიშვნელოვან სექტორს და დაინტერესებულ პირს მუდმივად აქვს შესაძლებლობა სამინისტროს ვებ-გვერდზე გაეცნოს უახლეს ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მაკროეკონომიკური პროცესებისა და რისკების შესახებ. ყოველთვიურად ქვეყნდება ასევე პრეზენტაცია „საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა“.

2018-2021 წლების სტრატეგიის ამოცანები და მიზნები

არსებული მდგომარეობა უმეტეს პოზიციებში შეფასებულია უმაღლესი ქულით, თუმცა ახალი გამოწვევების კვალობაზე მიმდინარეობს მუშაობა როგორც სისუსტეების აღმოსაფხვრელად, ასევე ძლიერი მხარეების შენარჩუნებისა და კიდევ უფრო დახვეწისათვის.

- დაგეგმილია ეკონომეტრიკული მოდელირების შემდგომი გაუმჯობესება. კვარტალურ მონაცემებზე დაფუძნებული დინამიკური მაკროეკონომიკური მოდელი შესაძლებელს გახდის ფოსკალური შოკების მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე გავლენის დროულ შეფასებას და არასასურველ ეკონომიკურ სიტუაციაზე სწრაფ რეაგირებას.
- საშუალოვადიანი ფოსკალური ჩარჩოს უკეთ დასაგეგმად დეპარტამენტმა დაიწყო საერთო წონასწორობის დინამიკურ-სტოქასტიკური მოდელის შემუშავება, რაშიც დახმარებას საერთაშორისო სავალუტო ფონდი უწევს. მოდელის დასრულება იგეგმება 2019 წლის ბოლომდე.

ამჟამად მიმდინარეობს შედარებით მცირემასშტაბიანი, სასწავლო დანიშნულების მოდელებზე მუშაობა, უკვე შექმნილია ორი საცდელი მოდელი. მიმდინარეობს კონსულტაციების საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებთან.

- დაგეგმილია ეკონომეტრიკული მოდელების შემუშავება მოკლევადიანი პროგნოზირებისათვის. სხვადასხვა ალტერნატიული პროგნოზების განხილვა და შედარება ძალიან მნიშვნელოვანია ანალიზისა და დაგეგმვის პროცესში.
- მომავალ წლებში რეფორმების კიდევ ერთ პრიორიტეტს ამ სფეროში ანალიტიკოსების კვალიფიკაციის ზრდა წარმოადგენს. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ერთობლივი ძალისხმევით მიმდინარეობს მაკროეკონომიკური ანალიზის სამმართველოს, ასევე სამინისტროს სხვა თანამშრომლებისათვის რეგულარული ტრენინგების ორგანიზება, რომელიც მიზნად ისახავს სამინისტროს თანამშრომლებისათვის საქართველოს ეკონომიკაზე მორგებული ტრენინგების თანმიმდევრულ მიწოდებას, რომელიც საბოლოო ჯამში თანამშრომლებს მაღალკვალიფიციურ ექსპერტებად ჩამოაყალიბებს. საქართველოს ეკონომიკაზე მორგებული ტრენინგების პროგრამის ფარგლებში თანამშრომლები გადიან ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს საშუალო დონის კურსებიდან უმაღლეს კურსებამდე. ტრენინგებზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება აუცილებელია სტრატეგიის სრულფასოვანი განხორციელებისათვის.
- მაკროეკონომიკური ანალიზის მიმართულების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია საქართველოს ეკონომიკაზე მოქმედი საგარეო მაკროეკონომიკური რისკების საფუძვლიანი ანალიზი და ამ რისკებისადმი მოწყვლადობის შეფასება. დეპარტამენტის თანამშრომლები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსის ფარგლებში გაეცნენ საერთაშორისო მეთოდოლოგიას საგარეო მოწყვლადობის შეფასების შესახებ. ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო 2018 წლის იანვრიდან. აღნიშნულ ანალიზს ექნება პერიოდული ხასიათი და განხორციელდება ახლადგამოვლენილი რისკების მუდმივი მონიტორინგი.

გასატარებელი ღონისძიებების საბოლოო მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილებების მოსალოდნელი შედეგების ანალიზის გაუმჯობესება.

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის გაუმჯობესება

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან იწყება მუშაობა GFSM 2014-ზე გადასვლასთან დაკავშირებით საბიუჯეტო კლასიფიკაციაში შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად.

სახელმწიფო ფინანსების მონაცემების გაუმჯობესების და მთავრობის ოპერაციების სრულად მოცვის მიზნით ის სსიპ-ები და ააიპ-ები აისახება საბიუჯეტო სტატისტიკაში, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აკმაყოფილებენ მთავრობის კრიტერიუმებს. ჩამოყალიბდება წესი რომელიც განაზღვრავს სსიპ-ების და ააიპ-ების კლასიფიცირების კრიტერიუმებს, რომლებიც შესაბამისობაში იქნება GFSM 2014-თან და სხვა საერთაშორისოდ აღიარებულ მეთოდოლოგიებთან.

ფისკალური რისკები

საქართველომ 2014 წლიდან დაიწყო ფისკალური რისკების შეფასების და მართვის სისტემის დანერგვა, ფისკალური რისკების გამოვლენის, შესწავლის და გამჟღავნების მიზნით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შეიქმნა ფისკალური რისკების მართვის ერთეული, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა ბიუჯეტის წინაშე მდგარი ფისკალური რისკების იდენტიფიცირება და მათი შემცირების და მართვის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნულის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის, მოხდა მთავრობის ან სახელმწიფო საწარმოების მიერ აღებული ისეთი ვალდებულების იდენტიფიცირება, რომლებსაც მომავალში შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი ფისკალური ეფექტი, მათ შორის პირობითი და სხვა. ასევე დაიწყო სახელმწიფო საწარმოების კვაზიფისკალურ საქმიანობათა რეესტრის წარმოება და ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებული წმინდა დანახარჯების შეფასება. სხვადასხვა დადებითი თუ უარყოფითი ეკონომიკური ფაქტორების (მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, საპროცენტო განაკვეთი, ინფლაცია, სავალუტო კურსი) სახელმწიფო საწარმოებზე გავლენის შეფასების მიზნით, შემუშავდა სენსიტიურობის ანალიზის მეთოდოლოგია. 2016 წლიდან სახელმწიფო საწარმოების ანალიზთან ერთად, ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ და გასაჯაროებულ იქნა ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების ანალიზი და მათგან მომდინარე შესაძლო ფისკალური წნეხი. აღნიშნული ანალიზი მნიშვნელოვნად იქნა გაუმჯობესებული 2017 წელს. შემუშავებულ იქნა მოვლენების განვითარების სცენარები, რომელთა ანალიზის საფუძველზე ვითარების სხვადასხვა განვითარების პირობებში, შეფასებულ იქნა მაქსიმალური შესაძლო ფისკალური წნეხი. ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი მომზადებულია თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, იგი სახელმწიფო ბიუჯეტის თანმდებია და საჯაროა.

მიმდინარე პერიოდისათვის განხორციელებული ღონისძიებები და მიღწეული შედეგები შეფასებულ იქნა სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულებების (PEFA) 2016 წლის ანგარიშში B ქულით, რაც წინა შეფასებასთან შედარებით გაუმჯობესებულია. ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების მიხედვით სპეციფიური რისკების ანალიზი და გაჭვირვალობა შეფასებულია უმაღლესი შეფასებით. თუმცა სისუსტედ მიჩნეულია საჯარო-კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში არსებული ვალდებულებების და შესაძლო ფისკალური რისკების ანალიზის არ არსებობა. 2018 წლის 1 აპრილიდან საქართველოში ამოქმედდება საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ კანონი, ერთიანი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც გავრცელდება საჯარო და კერძო თანამშრომლობის სფეროში შემავალ ყველა პროექტზე. სამართლებრივი ჩარჩო ნათლად განსაზღვრავს საჯარო და კერძო თანამშრომლობის ძირითად პრინციპებს და იმ კრიტერიუმებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროექტი, რათა ის დაკვალიფიცირდეს საჯარო და კერძო თანამშრომლობად და მოექცეს კანონპროექტით გათვალისწინებულ რეგულირების სივრცეში. კანონის შესაბამისად ამგვარი პროექტების ძირითადი პრინციპებია გამჭვირვალობა, განჭვრეტადობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, ხარისხის ფასთან თანაფარდობა, რისკების ოპტიმალური განაწილება, ფისკალური პასუხისმგებლობა, გარემოს დაცვა და სოციალური მდგრადობა. საჯარო და კერძო თანამშრომლობის კანონი მკაცრად განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს როლს, რომელიც მონაწილეობს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის განხორციელების თითქმის ყველა ეტაპზე და ახორციელებს შემდეგ შეფასებებს: საჯარო ფინანსების ხელმისაწვდომობის შეფასება, ხარისხის ფასთან თანაფარდობის შეფასება, ფისკალური რისკების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, სხვა სახის შეფასება. აღნიშნული ფუნქციებს განახორციელებს ფისკალური რისკების სამმართველო. შეფასებების საფუძველზე ფინანსთა სამინისტრო წარუდგენს რეკომენდაციას საქართველოს მთავრობას, ხელშეკრულების გაფორმების მიზანშეწონილობის შესახებ. საჯარო და კერძო თანამშრომლობის კანონი განსაზღვრავს საჯარო პარტნიორის მხრიდან მხარდაჭერის ფორმებს და აწესებს სახელმწიფო ვალდებულებების ზედა ზღვარს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ფისკალური რისკების მართვის თვალსაზრისით. კანონი ასევე ითვალისწინებს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების მონაცემთა ბაზის შექმნას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ამგვარი პროექტების იდენტიფიცირების პროცესი ფინანსთა სამინისტროს ჩართულობით. იდენტიფიცირების შემდგომ განხორციელდება მათი ანალიზი და შესაბამისად იქნება წარმოდგენილი ფისკალური რისკების ანალიზში ფისკალური გამჭვირვალობის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის მიხედვით.

2018-2021 წლების სტრატეგიის ამოცანები და მიზნები

მომავალი 4 წლის განმავლობაში ფისკალური რისკების შეფასების და ეფექტური მართვის გაუმჯობესების და სრულყოფის მიზნით დაგეგმილია შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- შემუშავდება სახელმწიფო საწარმოებიდან მონაცემთა მიღების გამარტივების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებები;
- გაგრძელდება მუშაობა საჯარო-კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებების და სხვა ფარული ფისკალური რისკების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, აღრიცხვის და ანალიზის სრულყოფის მიზნით. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდება საჯარო-კერძო თანამშრომლობის მიმდინარე პროექტების რეესტრი;
- სახელმწიფო საწარმოების საქმიანობის არსებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, სენსიტიურობის ანალიზის მეთოდოლოგიის გამოყენება მისი საპროგნოზო გათვლის მიზნით;
- 2019 წლიდან IPSAS 32-ის დანერგვის შემდეგ გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე საჯარო-კერძო პარტნიორობის შესახებ ინფორმაციის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა;
- საჯარო-კერძო თანამშრომლობის პროექტების შეფასების და სისტემატური ანალიზის მიზნით გამოყენებულ იქნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული PFRAM მოდელი;
- გაგრძელდება მუშაობა ენერგეტიკის სფეროში ენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების ყველა არსებული პროექტების რეესტრის შედგენის და ანალიზის კუთხით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში შემუშავდება მეთოდოლოგია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ფისკალური რისკების მართვის რეფორმის წარმატებულობა შემთხვევითი და გაუთვალისწინებელი ფაქტორების საბიუჯეტო მაჩვენებლებზე და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფით ზემოქმედებას მინიმუმამდე დაიყვანს, შეამცირებს ბიუჯეტის გაუთვალისწინებელი ხარჯის რისკებს. ფისკალური რისკების ანალიზის შემდგომი გაუმჯობესება და საჯაროობის უზრუნველყოფა დადებითად აისახება ქვეყნის საკრედიტო რეიტინგებზე და გაამყარებს ინვესტორთა ნდობას საქართველოს ეკონომიკისადმი.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გარდამტეხი იყო 2014-2017 წლები. უპირველეს ყოვლისა, გასული პერიოდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიისა და სამ წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება საქართველოს მთავრობის მიერ, რაც წარმოადგენს სისტემის გზამკვლევს და რეალურად აძლიერებს მის მნიშვნელობას სამთავრობო დონეზე. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება არსებული სიტუაციის ანალიზს და შემუშავებულ იქნა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით ჰარმონიზაციის ცენტრის (სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტი) მიერ.

აღნიშნული სისტემა მოიცავს თითქმის მთელ საჯარო სექტორს. ეს განპირობებულია იმით, რომ შიდა აუდიტის ფუნქცია ჩამოყალიბდა თითქმის ყველა აღმასრულებელი ხელისუფლების, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და ადგილობრივი თვითმმართველობების ერთეულებში, ხოლო ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა მიმდინარეობს 8 სამინისტროში.

2015 წელს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა რეფორმის ჯეროვნად განვითარებისათვის პრინციპული ცვლილებები:

- დაზუსტდა ჰარმონიზაციის ცენტრის სტატუსი და ფუნქციები, მოხდა მისი ინსტიტუციური გაძლიერება. ჰარმონიზაციის ცენტრის ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტი, რაც ევროკავშირის მიერ შემუშავებული კონცეფციისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით განხორციელდა;
- საბოლოოდ გაიმიჯნა ფუნქციურად ინსპექტირებისა და შიდა აუდიტის საქმიანობა;
- სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების წლიური ანგარიში, რომელსაც შემუშავებს ჰარმონიზაციის ცენტრი, წარედგინება საქართველოს მთავრობას.

შიდა აუდიტი

განხორციელდა მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტების დამტკიცება, რომლებიც ხელს უწყობს შიდა აუდიტორებს განახორციელონ თავისი საქმიანობა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში, კერძოდ:

- შიდა აუდიტის მეთოდოლოგია - „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის N593 დადგენილება;
- სისტემური აუდიტის სახელმძღვანელო - „სისტემური აუდიტის სახელმძღვანელოს/ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის N592 დადგენილება.

2016 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ იქნა იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ჩამონათვალი, რომლებშიც სავალდებულო გახდა შიდა აუდიტის ერთეულის ჩამოყალიბება და შესაბამისი ფუნქციის განხორციელება.

საკანონმდებლო პროცესების პარალელურად მუდმივ ხასიათს ატარებდა შიდა აუდიტორების თეორიული ცოდნის გაძლიერების საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით ადრეულ ეტაპზე შემუშავებული ტრენინგ-სტრატეგიის საფუძველზე მუდმივად ხორციელდება შიდა აუდიტორების კვალიფიკაციის ამაღლება, რისთვისაც ჰარმონიზაციის ცენტრი იყენებს როგორც ადგილობრივ ტრენერებს, ასევე უცხოელ ექსპერტებს, მჭიდროდ თანამშრომლობს დონორ ორგანიზაციებთან და სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან. აღნიშნულის საფუძველზე კი ხორციელდება, როგორც ტრადიციული შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტის, ასევე ახალი (ეფექტიანობის და სისტემური) სახის აუდიტის დანერგვა საჯარო სექტორში, რომლებიც თავდაპირველად დაინერგა პილოტურ რეჟიმში, შემდგომ კი შეიძინა მუდმივი ხასიათი და აისახა დაწესებულებების სტრატეგიულ და წლიურ გეგმებში.

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება ხორციელდებოდა ეტაპობრივად. თავდაპირველად მისი არსი გააცნეს შიდა აუდიტორებს, შემდგომ დაწესებულების ხელმძღვანელებს. თუმცა 2015 წლიდან დაიწყო მისი აქტიური დანერგვა სამინისტროების სისტემაში. რაც გამოიხატებოდა პილოტური სამინისტროების შერჩევით და მათში ფინანსური მართვისა და კონტროლის ნაწილობრივი ჩამოყალიბებით, რამდენიმე ელემენტის გამოყენებით (მაგ. მენეჯერული ანგარიშვალდებულება). აღნიშნული მოქმედებების შედეგად, დღეს საქართველოს ყველა სამინისტროში დაწყებულია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა, თუმცა მდგომარეობა არის განსხვავებული.

აგრეთვე, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების გათვალისწინებით, მიმდინარეობს მუშაობა ფინანსური მართვისა და კონტროლის სახელმძღვანელოზე. აქამდე აღნიშნული რეფორმის დანერგვა მიმდინარეობდა „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის

ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის“ შესაბამისად, რომელიც 2017 წელს დამტკიცა საქართველოს მთავრობამ.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის შემდგომი განვითარება

საჯარო ფინანსების მართვის პროცესში შიდა კონტროლის სისტემის სტაბილური განვითარებისათვის განხორციელდება:

- „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრული ღონისძიებების ჩატარება მათ შორის, შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის დანერგვა, რომელსაც PEFA-ს შეფასების PI-26 ინდიკატორის 26.2 პუნქტი მოიცავს და მომდევნო შეფასებისთვის შედეგის გასაუმჯობესებლად არის მნიშვნელოვანი.
- დამოუკიდებელი და ძლიერი ჰარმონიზაციის ცენტრის შემდგომი განვითარება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შიდა აუდიტის ირგვლივ მეთოდოლოგიის დახვეწა, შიდა აუდიტის ხარისხის შეფასება და შიდა აუდიტორების პროფესიონალიზმზე ზრუნვა, ასევე მართვისა და კონტროლის სისტემის ირგვლივ სათანადო ღონისძიებების გატარება;
- შიდა კონტროლის სისტემის შესახებ ცნობიერების ამაღლება, როგორც მაღალი რგოლის მენეჯერების, ისე დაწესებულების ხელმძღვანელების ასევე, ჩართულობის გაზრდა საერთაშორისო დონეზე.

დაგეგმილი რეფორმების განხორციელების შედეგად შიდა კონტროლის სისტემა უპასუხებს სახელმწიფო სახსრების ეფექტიან, ეკონომიურ და პროდუქტიულ გამოყენების მოთხოვნებს საჯარო მმართველობაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა

პორტალის შექმნა და მართვა, რომელზეც განთავსდება ერთგვაროვანი სტანდარტებით მომზადებული ფინანსური, ასევე არაფინანსური ანგარიშგებები, საწარმოებსა და ინვესტორებს/კრედიტორებს შორის გამარტივებული ურთიერთობისა და სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობის მიზნით

დღესდღეობით, საშუალო, მცირე და მიკრო საწარმოების მიერ დაფინანსების მოპოვების მიზნით, ფინანსური სექტორისთვის (ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები) წარდგენილი ანგარიშგებები არ შეესაბამება არც საერთაშორისო და არც ადგილობრივ დროებით სტანდარტებს და შესაბამისად შეიცავს ბევრ ხარვეზსა და უზუსტობებს, რის გამოც ფინანსური სექტორის მხრიდან ეს ანგარიშგებები საჭიროებენ მნიშვნელოვან დამუშავებასა და დახვეწას. ეს გარემოება ზრდის საფინანსო სექტორის, სესხის გაცემასთან და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საოპერაციო ხარჯებს და აფერხებს დაფინანსებასთან ასოცირებული რისკების ხარისხიან ანალიზსა და შეფასებას რაც საბოლოო ჯამში აისახება საფინანსო სექტორის არაეფექტურობაში და დაფინანსების შედარებით მაღალ საპროცენტო განაკვეთებში.

2016 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომ - კანონი), რომლის მიზანს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა და „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის აქტებთან დაახლოება წარმოადგენს. ზემოაღნიშნული სფეროებზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. კანონის საფუძველზე საწარმოებს

გაუჩნდათ ვალდებულება, რომ მოამზადონ და სამსახურს წარუდგინონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS, IFRS for SMEs) შესაბამისად მომზადებული ანგარიშგებები შემდგომი გასაჯაროების მიზნით (გარდა IV კატეგორიის საწარმოებისა, რომელთათვისაც შემუშავდება გამარტივებული ანგარიშგება ევროკავშირისა და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით).

2018-2021 წლების სტრატეგიის ამოცანები და მიზნები

საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიზნით, საჯარო და კერძო სექტორთან თანამშრომლობით, განხორციელდა/იგეგმება რიგი ღონისძიებები. კერძოდ საშუალო და მცირე საწარმოთა მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით 2018 წლის განმავლობაში გაგრძელდება პრეზენტაციები საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME)-ის ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. ასევე, 2018 წელს, ითარგმნება IFRS for SME-ის ტრენინგის მოდულები (2000 გვერდი, რომელიც მომზადდება და გამოიცემა IFRS Foundation-ის მიერ 2018 წლის პირველ ნახევარში) და მომზადდებიან ტრენინგები ამ სტანდარტით დაინტერესებული პირებისთვის სრულფასოვანი ტრენინგების ჩასატარებლად. სატრენინგო მასალა განთავსდება სამსახურის ვებგვერდზე და ყველასთვის უფასოდ ხელმისაწვდომი იქნება.

2018 წლის მეორე ნახევარში დასრულდება მეოთხე კატეგორიის საწარმოების (მიკრო საწარმო) ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შემუშავება, რომლითაც ფინანსურ ანგარიშგებას მოამზადებს საქართველოში რეგისტრირებული დაახლოებით 70 ათასი საწარმო. სტანდარტი შემუშავდება ევროკავშირის დირექტივის შესაბამისად და ორიენტირებული იქნება მიკრო საწარმოებს ანგარიშგების მომზადების პროცესის მაქსიმალურ გამარტივებაზე.

ხსენებული ანგარიშგებების შეგროვებისა და ადმინისტრირების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა ანგარიშგებების წარდგენის ჩანართი (eservices.rs.ge | SARAS) და ანგარიშგების გასაჯაროების პორტალი (Reportal.ge), რომელზეც 2017- 2019წწ. პერიოდში განთავსდება საქართველოში რეგისტრირებული ყველა საწარმოს მიერ წარდგენილი ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგებები. პორტალზე ანგარიშგებებთან ერთად განთავსდება ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ, რაც მომხმარებლებს საწარმოების შესახებ ერთიანი სურათის ნახვის და შედარებითი ანალიზის საშუალებას მისცემს.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული და გასაჯაროებული ანგარიშგებების ხელმისაწვდომობა, უზრუნველყოფს საწარმოთა კორპორაციული მართვისა და სააღრიცხვო დისციპლინის გაუმჯობესებას რაც სხვა მრავალ სარგებელთან ერთად ასევე დადებითად იმოქმედებს საფინანსო სექტორის ეფექტურობის ზრდაზე, გაუადვილებს საწარმოებს ინვესტირებას/კრედიტორებთან ურთიერთობას და სხვა თანაბარ პირობებში შეამცირებს საწარმოების მიერ გაწეულ დაფინანსების ხარჯებს.

ფინანსური ანგარიშგების სისტემის მეშვეობით საგადასახადო რისკის მართვის პროცესის ოპტიმიზაცია

2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით ე.წ. „ესტონური მოდელი“, რის საფუძველზეც მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა არა დასაბეგრი მოგება, არამედ განაწილებული მოგება. დაბეგვრის ახალი მოდელი დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებას ადგენს ყოველთვის ურად. გაუქმდა მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება და შესაბამისად, შემოსავლების სამსახურში აღარ დეკლარირდება ინფორმაცია იურიდიული პირების წლიური ფინანსური შედეგების შესახებ. საგადასახადო რისკების მართვის პროცესში არ გამოიყენება მონაცემები საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის და შედეგების შესახებ.

2018-2021 წლების სტრატეგიის ამოცანები და მიზნები

იგეგმება უწყებათაშორისი თანამშრომლობა რათა ზემოთ ხსენებული საინფორმაციო ვაკუუმი შეივსოს საწარმოთა მიერ, კანონის შესაბამისად წარდგენილი წლიურ ფინანსური/არაფინანსური ანგარიშგებების მეშვეობით.

ამ მიზნით, შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების ვებგვერდზე (eservices.rs.ge) განთავსდა დამატებითი სივრცე, ანგარიშგებების წარდგენის ელექტრონული ჩანართი, სადაც სხვა ინფორმაციის წარდგენასთან ერთად (მათ შორის საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით მომზადებული ანგარიშგების დოკუმენტი, აუდიტორის დასკვა და ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ) საწარმო ელექტრონულად წარადგენს ოთხ ძირითად ანგარიშგებას: ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური შედეგების, ფულადი ნაკადებისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებებს. ელექტრონულად შევსებულ ფორმებში არსებული ინფორმაცია ეტაპობრივად შეავსებს შემოსავლების სამსახურში გაჩენილ ინფორმაციულ დეფიციტს წლიურ ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებთან დაკავშირებით.

ანგარიშგების წარდგენის პროცესში დაგროვილი ინფორმაცია დაეხმარება შემოსავლების სამსახურის რისკების სამმართველოს საგადასახადო რისკების ოპტიმიზაციაში, გაზრდის საგადასახადო აუდიტის დაგეგმვის ეფექტურობასა და შეამცირებს დაბალი საგადასახადო რისკის მატარებელი პირების შემოწმების პროცესში დახარჯულ შრომით და ფინანსურ რესურსებს.

ეკონომიკური ოპერატორის ავტორიზაციის პროცესის ხელშეწყობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტორების, ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გზით

მრავალი წლის განმავლობაში მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (მსო) ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებებზე. დაინერგა რიგი სპეციალური პროგრამების, რომლებიც მიზნად ისახავენ ვაჭრობის დაცვის გაძლიერებას გლობალურ კონტექსტში. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (აეო) კონცეფცია ამ პროგრამების ნაწილია, რომლისთვისაც 2005 წელს მსო-მ შეიმუშავა ცალკე უსაფრთხოების სტანდარტები.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი არის საბაჟოსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის ოპტიმალური მოდელი, რომელიც ორივე მონაწილეს საშუალებას მისცემს მიიღოს თავისი უპირატესობები. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი, შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში გულისხმობს, პირისათვის ადგილობრივი კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის შემცირებასა და საბაჟო გამარტივებებით სარგებლობას. ამ პროცესის განვითარებით დაინტერესებულები არიან როგორც, ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეები ასევე, საბაჟო ორგანოებიც, რომლებიც სარგებელს იღებენ კანონმდებლობის და მდგრად ბიზნეს ოპერატორებთან ურთიერთობით.

„ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების საფუძველზე (XIII დანართი) მიმდინარეობს აეო-ს იმპლემენტაცია საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭებისათვის პირი უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე პირობას. მათ შორის აუცილებელია აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების არსებობა, სადაც გამოჩნდება:

- საწარმოში, აღრიცხვისა და ანგარიშგების გამართული სისტემის არსებობა და შესაბამისობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან;
- საწარმოს ფინანსური მდგრადობა (გადახდისუნარიანობა), რაც მოიცავს ისეთი ფინანსური მდგომარეობის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს წარმოშობილი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შესაძლებლობას.

2018-2021 წლების სტრატეგიის ამოცანები და მიზნები

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა აუდიტორების/აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი. 2017 წლიდან მონიტორინგი სამსახურის მიერ განხორციელდება როგორც გეგმიურად, ისე რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე. მონიტორინგის მიზანია აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მიერ განხორციელებული აუდიტორული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (აუდიტორთა შეფასებითი კატეგორია) იქნება რისკის პროპორციული და მოემსახურება აუდიტორული და პროფესიული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და სამართლიანი პრაქტიკის ხელშეწყობას. სამსახური ყოველწლიურად გამოაქვეყნებს აუდიტის ხარისხის მდგომარეობის შესახებ საერთო ანგარიშს.

ანგარიშგება, რომელიც აუდიტს დაექვემდებარება და შესაბამისად გამოირჩევა მაღალი სანდოობით, გამოქვეყნდება სამსახურის ვებ-გვერდზე (Reportal.ge), რაც გახდის შესაძლებელს შეფასდეს მათი ფინანსური მდგომარეობა და სისტემების გამართულობა.

გასატარებელი ღონისძიებების შესრულების შემდეგ გაიზრდება საქართველოში რეგისტრირებული აუდიტორების/აუდიტორული ფირმების საქმიანობის ხარისხი რაც მათ მიერ აუდიტებულ ანგარიშგებას უფრო სანდოს გახდის და გაამარტივებს ავტორიზებული სტატუსის მინიჭების პროცესს.

საქართველოში მოქმედი საწარმოების საქმიანობის პირველადი ანალიზის საფუძველზე, მოკლევადიან პერიოდში მოსალოდნელია, რომ ავტორიზებული ეკონომიკური სტატუსის მფლობელი შესაძლებელია გახდეს 100-მდე ბიზნეს ოპერატორი.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მიღებით ბიზნეს საწარმოს ეძლევა შესაძლებლობა, როგორც შიდა ბაზარზე ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი და აღიარებული საერთაშორისო ორმხრივი ხელშეკრულებების შესაბამისად. სტატუსის ფლობა შესაძლებელს ხდის საბაჟო ოპერაციების განხორციელებისა და ლოგისტიკის ჯაჭვის ოპტიმიზაციისათვის ფინანსური და დროითი ხარჯების მინიმუმამდე შემცირებას.

ტექსტში გამოყენებული აბრევიატურები

AEO (Authorised Economic Operator) - ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი

BDD (Basic Data and Directins) - ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი

BEPS (Base Erosion and Profit Shifting) - დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის სამოქმედო გეგმა

eBudget - ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა

EC (European Council) - ევროპის საბჭო

EU (European Union) - ევროკავშირი

eTreasury - ხაზინის ელექტრონული სისტემა

ePFMS - საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონულ სისტემა

FHTP (Forum on Harmful Tax Practices) - საზიანო საგადასახადო პრაქტიკის შესახებ ფორუმი

FTE (Fiscal Transparency Evaluations) - ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება

GGI (Good Governance Initiative) - კარგი მმართველობის ინიციატივა

IBP (The International Budget Partnership) - ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა

IFAC (International Federation of Accountants) - ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია

IFRS (International Financial Reporting Standards) - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

IMF (International Monetary Fund) - საერთაშორისო სავალუტო ფონდი

IPSAS (International Public Sector Accounting Standards) - საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

OBS (Open Budget Survey) - ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა

OECD (Organisation for Economic Co-operation and Development) - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

PEFA (Public Expenditure and Financial Accountability) - სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულება

SARAS (Service for Accounting, Reporting and Auditing Supervision) - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

SDG (Sustainable Development Goals) - გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები

TGL (Treasury General Ledger) - ხაზინის მთავარი წიგნი

USAID (United States Agency for International Development) - აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო

სახელმწიფო ფინანსების მართვის სტრატეგიის მიმართულებები 2018-2021 წლებისთვის		
სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2021 წლისთვის	სამიზნე მაჩვენებლები საერთაშორისო პრაქტიკიდან
<i>ბიუჯეტირება</i>		
საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა	საშუალოვადიანი ჩარჩო დაგეგმვის ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს	SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; PEFA (PI-15; PI-16); OBS; FTE; EU დირექტივა (2011/85/EU) IMF ტექნიკური დახმარება ფისკალური წესების თაობაზე
ფისკალური დისციპლინის გაძლიერება	ფისკალური პოლიტიკა ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ გონივრულ ფისკალურ წესებს	SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; PEFA (PI-15; PI-16); FTE; EU დირექტივა (2011/85/EU) IMF ტექნიკური დახმარება ფისკალური წესების თაობაზე
საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის ჩამოყალიბება	საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ყველა ეტაპზე პროექტების განხორციელებაზე გადაწყვეტილება მიიღება სისტემური მიდგომით შესაბამისი ანალიზის საფუძველზე	SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; PEFA (PI-11); OBS; WB PER
შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის ეფექტიანობის გაძლიერება	ხარჯვითი ნაწილის დაგეგმვა ხორციელდება მოსალოდნელი შედეგების მიხედვით	SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; PEFA (PI-2; PI-5 და PI-9); OBS; FTE; EU დირექტივა (2011/85/EU)

ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის დანერგვა	საჯარო ფინანსების მართვის ყველა ეტაპზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია და საჯარო საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკის შესაბამისად	SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; PEFA (PI-2; PI-5 და PI-9); OBS; FTE; EU დირექტივა (2011/85/EU)
სახელმწიფო სახსრების მართვა, აღრიცხვა და ანგარიშგება		
აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმა საჯარო სექტორში	მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება	PEFA (PI-12; PI-22; PI-29;); Fiscal Transparency Evaluation; EU დირექტივა (2011/85/EU) SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; World Bank Public Expenditure Review
ხაზინის ელექტრონული სისტემის (eTreasury) განვითარება	სრულად ფუნქციონირებადი დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნი	PEFA (PI-20; PI-23; PI-25; PI-27); Fiscal Transparency Evaluation EU დირექტივა (2011/85/EU) SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; World Bank Public Expenditure Review
ფულადი სახსრების მართვის რეფორმა	ფულადი სახსრების მართვის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ინსტრუმენტები და მექანიზმების გამოყენება	PEFA (PI-21)
საგადასახადო და საბაჟო საკითხები		
ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება	ევროდირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანილი საგადასახადო კანონმდებლობა	EU დირექტივა (2006/112/EC); (2003/96/EC)
კანონმდებლობის სრულყოფა	ევროდირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანილი საგადასახადო კანონმდებლობა	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 9 ოქტომბრის რეგულაცია (EU) № 952/2013 და 2009 წლის 16 ნოემბრის საბჭოს (EC) N1186/2009 საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების თაობაზე

		ევროკავშირის სისტემის შექმნის შესახებ რეგულაცია
რისკზე დაფუძნებული მიდგომებით, საგადასახადო და სახელმწიფო საზღვრის კვეთის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონშესაბამისობის ამაღლება	გაფართოვდა რისკზე დაფუძნებული მიდგომები; განხორციელდა საგადასახადო დავალიანების მართვის სტრატეგია; გამარტივდა გადამხდელის მხრიდან ვალდებულების შესრულება	TADAT; შემოსავლების სამსახურის 2017-2020 წლების სტრატეგიული გეგმა; საერთაშორისო სავალუტო ფონდის 3-წლიანი პროგრამა; ანტი-კორუფციული სტრატეგია
შემოსავლების სამსახურის ინსტიტუციური განვითარება და მდგრადობა	დაინერგა თანამედროვე მიდგომები ადამიანური რესურსების მართვის სფეროში; დაიხვეწა საინფორმაციო ბაზები/პროგრამული მოდულები	TADAT; შემოსავლების სამსახურის 2017-2020 წლების სტრატეგიული გეგმა
ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესის მხარდაჭერა	განხორციელებულია ასოცირების შეთანხმების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ქმედებები	EU დირექტივები; ასოცირების დღის წესრიგი და ასოცირების შეთანხმების სამოქმედო გეგმა; ანტი-კორუფციული სტრატეგია
მაკროეკონომიკური ანალიზი და პროგნოზირება		
მაკროეკონომიკური ანალიზი და პროგნოზირება	ფისკალური პოლიტიკის ანალიზის სრულყოფა; პროგნოზის ხარისხისა და გადაწყვეტილებების ეფექტიანობის ზრდა	PEFA (PI-14; PI-15); FTE; Fiscal Rule IMF TA
სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის გაუმჯობესება	საჯარო სამართლის იურიდიული პირების ასახვა სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის ანგარიშებში; ადგილობრივი ბიუჯეტების სახელმწიფო ფინანსების ოპერაციების ჯამური ანგარიშის გამოქვეყნება სამინისტროს ვებ გვერდზე	FTE
ფისკალური რისკები	სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზი და სტრეს ტესტების ჩატარება შესაძლო ფისკალური რისკების შეფასების მიზნით	PEFA (PI-10); FTE; Fiscal Rule IMF TA; IMF Program;

		WB
სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი		
სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება	ლონისძიებები განხორციელებულია 3 წლიანი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა	ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება (279-ე მუხლი) საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი
ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა, მენეჯერული ანგარიშვალდებულების პრინციპზე აქცენტებით	საქართველოს სამინისტროების ¾-ში შიდა კონტროლის სისტემები მოყვანილია შესაბამისობაში ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებულ ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის გზამკვლევთან.	ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება (279-ე მუხლი) საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი
შიდა აუდიტის სუბიექტების განვითარება, როგორც ცენტრალურ ასევე ადიგლობრივი თვითმმართველობისა და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების დონეზე	ჩამოყალიბებულია ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა	PEFA (PI-26)
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა		
ანგარიშგებების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება	ინვესტორებისთვის/ფინანსური ანალიტიკოსებისთვის საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად საინფორმაციო პლატფორმის შექმნა. SARAS-ის ანგარიშგებების პორტალზე (www.reportal.ge) 2019 წლის შემდეგ 50'000-მდე (2018 წელს 500-მდე) სუბიექტის მიერ წარდგენილი ფინანსური ინფორმაციის ეფექტურად დამუშავება ხელს შეუწყობს	ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული 2013/34/EU დირექტივა და N 1606/2002 რეგულაცია

	საბანკო სექტორთან ურთიერთობისას ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას.	
საგადასახადო რისკის მართვის პროცესის ოპტიმიზაცია	შემოსავლების სამსახურის საგადასახადო რისკების მართვის ხელშეწყობა SARAS-ის ანგარიშგებების პორტალზე განთავსებული ფინანსური ინფორმაციის გამოყენებით.	ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული 2013/34/EU დირექტივა
ეკონომიკური ოპერატორის ავტორიზაციის პროცესის ხელშეწყობა	შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტისთვის ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების პროცესის ხელშეწყობა აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გზით. დაგეგმილია წელიწადში საშუალოდ 25-მდე აუდიტორული ფირმისთვის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელება.	ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული No 952/2013 რეგულაცია და 2006/43/EC დირექტივა